# სახალხო გაზეთი

№ 441 ხუთშაბათი, 3 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადება მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible] ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ამ ნომერში ექვსი გვერდია.


## დ. ყვირილაში

„ორპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი“

სურათებიანი დამატებით

1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე

ღირს 1 მან. 60 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.


ელენე ნიკოლოზის ასული და ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილები, სალომე გიორგის ასული მღვდლის ქვრივი და იოსებ ზებედეს ძე ცხვედაძე აცნობებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთ პირველი—მამის, მეორე—სიმამრის, მესამე—ბიძის და უკანასკნელი—ძმის

### ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის

გარდაცვალებას 30 ოქტომბერს შუადღის 12 საათზე. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე (გუნიბის ქუჩა № 10). გამოსვენება ბინიდან ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც, წირვისა და წესის აგების შემდეგ, ცხედარს წაასვენებენ დასაკრძალავად დიდუბის ეკლესიის გალავანში. (3—900—3)

ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი და საპედაგოგიო საბჭო თავად-აზნაურთა გიმნაზიისა, მწუხარებით აუწყებს საზოგადოების წევრთ, საზოგადოების საპატიო წევრის, გამგე კომიტეტის წევრისა და საალმშენებლო კომისიის თავმჯდომარის

### ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის

30 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, (გუნიბის ქუჩა, № 10). გამოსვენება ბინიდან ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც წირვის და წესის აგების შემდეგ, ცხედარს წაასვენებენ დასაკრძალავად დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—1571—2)

ქართ. შ. წ.-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოების წევრთ საპატიო წევრის

### ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია ქართულ გიმნაზიაში ოთხშაბათს, 2 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე. ცხედრის გამოსვენება ბინიდან (გუნიბის ქუჩა № 10), ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც წირვისა და წესის აგების შემდეგ წაასვენებენ დასაკრძალავად დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—1570—2)


## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ოთხშაბ., $10^{1}/_{2}$—11 ს.

დიდებაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მადლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ საათ.

მზარეულოვი მ. ა.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—$1^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედ. დაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მაჭავარიანი შ. ა.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ-დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.

ორჯონიკიძე ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცკონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათი. საფასურით. (წ.—1089—599)



ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 79.

ხუთშაბათს, 3 ნოემბერს 1911 წ. ვასო აბაშიძის მონაწილეობით.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ენაზე ცნობილი პიესა „კ ლ დ ე“ ვ. ფაფაზიანისა, თარგ. ყ. გ—ძსა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, ვიქტორელი, ქილარჯიშვილი, პიერეტა. ჩერქეზიშვილი; ბ ნნი აბაშიძე, არადელი-იმნაელი, აბდუშელი, ბერიშვილი, გუნია, გვარამე, გედევანოვი, დავითაშვილი, თელი, ციციშვილი. და სხვ.

დასაწყ. 8 ს. ● ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ანონსი: მზადდება გაცემი, სატანა. ანტიგონა, ახალი მოძღვრება

(3.904.3) რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია.

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—165

**ექიმი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **ბ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ ი.

მინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. (თ 100—1534—18)

## თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში

აცხადებს, რომ იგი შეუდგა ბ-ნ კიტა აბაშიძის თხზულებათა „ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ“ ბეჭდვას. თხზულება გამოიცემა ორ ტომად, იგი შეიცავს კრიტიკულ განხილვას შემდეგ მწერალთა ნაწარმოებისას: ალექ. ჭავჭავაძისა, გრიგ. ორბელიანისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ვახტ. ორბელიანისა, გიორ. ერისთავისა ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალექ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველასი.

ხელის მოწერა მიიღება 15 ნოემბრამდი ქ უ თ ა ი ს შ ი — თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ გაზეთების კანტორა «იმერეთია»-ში და ტფილისში—წერა-კითხ. გამავრ. საზოგ. წიგ. მაღაზიაში ბ-ნ ივანე ავალიშვილთან.

ხელის-მოწერით პირველი ტომის ფასი ო რ ი ა ბ ა ზ ი ა. (15—1539—14)


## კავკასიის სამთო გამგეობა

აცხადებს, რომ 1911 წ. 29 ნოემბრისათვის დანიშნულია ქ. ქუთაისში, შორაპნის მაზრის

### შავი ქვის მრეწველთა მე-XIV მორიგი კრება

კავკასიის სამთო ოლქის, საოლქო ინჟენერ სტატს.-სოვეტ აბრამ გრიგორის ძის ცეიტლინის თავმჯდომარეობით.

**განსახილველი საგნები:**

1) კრების მდივნის არჩევა.
2) ანგარიშთა განხილვა: ა) კრების საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა და გ) ბაქანებისა და ჭიათურის ლიანდაგზე ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტისა.
3) განხილვა მაღაროების ნაყოფიერების სასტატისტიკო ცნობათა, რკინის გზის სადგურებზე დაგროვილ სათადარიგო მადნის რაოდენობა, გატანილ მადნის რაოდენობა, მადნის საწყობი ადგილები და გადასაზიდი საშუალებანი კავკასიის რკინის გზის ჭიათურის შტოსა და მთავარ ლიანდაგზე.
4) მაღაროების მუშათა და სამრეწველო ფარგლის მცხოვრებთათვის წყლის გაყვანის საქმე.
5) ჭიათურის შავი ქვის ფარგალში მექანიკურ საშუალებით მადნის შემოტანა.
6) მდ. ყვირილის გაბინძურება შავი ქვის რეცხვის გამო და მის თავიდან აცილება.
7) ელექტრონის საშუალებით ფერრო-მარგანეცის გამოდნობა.
8) გამოკვლევანი ბრიტანიის ინდოეთში შავი ქვის მრეწველობისა.
9) კრების საჭიროებისათვის უძრავ ქონების შეძენის საკითხი.
10) ტელეფონით შეერთება ჭიათურისა ქუთაისთან, ბათუმთან და ფოთთან.
11) სხვა და სხვა სარკინისგზო საკითხები, სახელდობრ:
   ა) ჭიათურაში საცალფეხო ხიდის გაკეთება.
   ბ) ჭიათურის სადგურზე ჯვარედინ გზების გაყვანა.
   გ) ჭიათურაში მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე გზის გაფართოება.
   დ) ჭიათურის სადგურთან გზების მოკირწყვლა და წესიერი მოვლა.
   ე) ჯვარედინ გზებისა და საწყობ ბაქნების განათება.
   ვ) განზრახულ მექანიკურ დასაქანებამდე სამატარებლო ლიანდაგის გაყვანა.
   ზ) ჭიქოურში სადგურის გაკეთება.
   თ) სასადგურო გადასახადის დაწესება, როგორც მგზავრებზე ისე სხვა საქონელზე, შავი ქვის გარდა.
   ი) ჭიათურასა და ყვირილის შუა ძველ გზატკეცილის შეკეთება.
   კ) სხვა საკითხები, რაც შავი ქვის გადაზიდვის საქმეს ეხება.
12) დაბა ჭიათურის გადაკეთება პოსადად და შემოკლებულ თვითმმართველობის შემოღება.
13) ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში პარალელურ განყოფილებათა გახსნა.
14) მაღაროებში უბედურ შემთხვევის დროს დაშავებულ მუშათა ხარალის ასანაზღაურებელ საქმის რეორგანიზაცია.
15) სიეზდის სხვა და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სათადარიგო ფონდის დაარსება.
16) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება.
17) თანამდებობის პირთა არჩევა. (4—1563—4)


**ექიმი** კბილის **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მელიქოვისა.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 183

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასმიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ყოუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1

მოისე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^{1}/_{2}$—3 საათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლაბდინოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თოთიბაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

სუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხილოვი-შირაკოვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

უგლიმჭარაოვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—14)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^{1}/_{2}$—12 ს.

შ. ა. მაჭავარიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით. (წ.—1090—203)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (—25)

**ექიმი** ნ. ტ. მულინი ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—15)

**ექიმი** მ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფ. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე. მლისაბედის ქუჩა, N 29, ტელეფონი N 1067. (100—1117—39)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო **მიხეილ გედევანიშვილისა** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—46)

**ექიმი** კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1558—5)

დოქტორი მედიცინისა **ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კ ი რ ო ჩ ნ ი ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—33)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი** პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ძარღვი).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.4)

**ექიმი** ვ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 26. ტელეფონი 388. 25—1442—63

1 ნოემბრიდან 1911 წ. ქართველ ქალთა ამხანაგობის სადგურში დაიწყება ჭრა-კერვის კურსები საღამოობით იმათთვის, ვისაც დილა არა აქვთ თავისუფალი. დაწვრილებით ცნობები შეიძლება შეიტყოთ: ვერა, ბაბაანთ ქუჩა № 8. [illegible]


## ტფილისი, 3 ნოემბერი

**შეურაცხყოფილი უმანკოება.**

„ზაკავკაზ. რეჩ“-ში ბ-ნი Тон-ი სიცრუეს ეძახის იმ ცნობას, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა რუს მემარჯვენე ელემენტებთან შეთანხმების შესახებ და ბძანებს, ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალური ბიურო პოლიტიკურ პარტიებს კი არ შეეკრა ბლოკით, არამედ რუს, სომეხ და მაჰმადიანთა მცხოვრებლებსაო. არ ვიცით, რა მოსაზრებით ლაპარაკობს „ზაკავკაზ. რეჩ“-ის ზნეობრივად გაკოტრებული პუბლიცისტი პოლიტიკურ პარტიებზე, ან ვინ როდის სთქვა, ცენტრალური ბიურო პოლიტიკურ პარტიებს შეუკავშირდაო. ჩვენს გაზეთში, სადაც მოთავსებული იყო ეს ცნობა, ნათლად იყო ნათქვამი, რომ ცენტრალური ბიურო ბლოკით შეეკრა მემარჯვენე ელემენტებს. მემარჯვენე ელემენტები, რომელთა წარმომადგენლად ითვლება ბ-ნი ანტონოვი და მისი თანამოაზრენი, და პოლიტიკური პარტია ერთი და იგივე ცნება არ არის, თუ Тон-ი კეთილ ინებებს და დაგვეთანხმება. პოლიტიკური პარტიები საარჩევნო ბრძოლაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, ამოქმედებენ მხოლოდ სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელნიც განსაზღვრულ პროგრამით გამოდიან და რომელთაც საკმაოდ თვალსაჩინო მიზანი ამოძრავებს.

ის ჯგუფი, რომელსაც ბლოკით შეეკრა ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალური ბიურო, რუს მემარჯვენე ელემენტებისაგან შესდგება. ეს მემარჯვენე ჯგუფი ვერც გაიზიარებს და არც ჰსურს გაიზიაროს ის პროგრამა, რომელიც ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფმა შეიმუშავა. ამ ორ ჯგუფს შუა ისეთი დიდი განსხვავებაა, მათი ინტერესები იმდენად ეწინააღმდეგება ერთმანეთს,

რომ არავითარ შეთანხმებაზე არ იფიქრებდა ის, ვისთვისაც დემოკრატიზმი და ჭეშმარიტი დაცვა ეროვნულ ინტერესებისა მხოლოდ საარჩევნო ქამანდი კი არ არის, არამედ პური არსებობისა.

ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურმა ბიურომ ეს ვერ შეიგნო და ამით დაამტკიცა, რომ იგი ჰღალატობს ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის ინტერესებს. ტყუილად ლაპარაკობს ბ-ნი Топ-ი ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის სახელით და ტყუილად ამართლებს ბიუროს საქციელს. ბიურომ უღალატა ჯგუფს და ეს უკანასკნელიც ვალდებულია ჯეროვანი პასუხი მოსთხოვოს. ეხლავე, სანამ ჯერ კიდევ დრო არ წასულა, ამომრჩეველთა სარაიონო კრებები უნდა გაიმართოს, განხილულ იქმნას ეს საკითხი, გამოიცვალოს ბიურო, რომელიც კრებებზე გამოთქმულ დირექტივებს არ ასრულებს და შემუშავდეს დამოუკიდებელი სია ქართველ ხმოსნებისა.

მხოლოდ ასეთი სია იქნება სავალდებულო ქართველ ამომრჩეველთათვის, რომლის სახელითაც ასე წინდაუხედავად და ურცხვად ლაპარაკობენ დღეს Топ-ი და მისი დამქაშები...

## სომხური პრესა

გაზ. „სურჰანდაკის“ მე-426 №-ში ვკითხულობთ შემდეგს მეთაურ წერილს საქალაქო არჩევნების შესახებ:

„ტფილისის საქალაქო არჩევნების მოსამზადებელ ბრძოლაში, როგორც უკვე ვსთქვით, თანამდებობათა და საზოგადო ქადის საკითხს უმთავრესი ადგილი უჭირავს. იგი ალაპარაკებს ზოგიერთებს, განსაკუთრებით ქართველ ინტელიგენციას და უმთავრესად კი რუსულ ასოებიან ქართულ გაზეთების ხელმძღვანელებს.

როდესაც ამ არჩევნების შესახებ გამოვსთქვით ჩვენი აზრი, ქართულმა პრესამ ჩვენ „ულტრა-ნაციონალისტებად“ გვაღვიარა. საერთოდ ისეა ჩვენში. როდესაც რამოდენიმე ცუდ რამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებ, მაინც აზრთა ავტორები საჩქაროდ ბრალს გდებენ სწორედ იმისთვის, რომლის წინააღმდეგაც გილაპარაკნია.

ეს ჩვეულებადაა გადაქცეული ყველა იმ საქმეების შესახებ, სადაც ხალხს „ანგარიშები“ აქვს. როდესაც ჩვენ ულტრა-ნაციონალისტობაში ბრალს გვდებენ, იმდენად საწყენი არ არის ჩვენთვის, ვინაიდან თვით ბრალმდებელნი უკიდურესი შოვინისტები არიან, რადგანაც იგინი, გარდა თავიანთ ეროვნებისა, სხვა არავითარ ხალხს და ეროვნებას არა სცნობენ; ისინი რუსის პატრიოტებზე უფრო მოუთმენარნი არიან. ყველა ეს კი შეუწყნარებელია. ჩვენ წინა ვსთქვით და ეხლაც ვამბობთ, რომ სომეხი, როგორც სომეხი, რაც უნდა თავისი ერის მოყვარე იყოს, არასოდეს შოვინისტი არ იქნება.

ეს სომხების ერთად ერთი და საუკეთესო თვისებაა. სომხები თავიანთ მტრებსაც კი პატივისცემით ეპყრობიან. ჩვენი აწინდელი და წარსული ისტორიული ცხოვრება მხოლოდ ამას გვიმტკიცებს. და როდესაც სომხების ულტრა-ნაციონალისტობის შესახებ ჩვენი მეზობელი ერის ინტელიგენტები ლაპარაკობენ, დაგვიჯერეთ, სასაცილოა. თუ სხვები არა სცნობენ, ჩვენ ხომ ვიცნობთ ჩვენ მეგობრებს—ქართველ „კოსმოპოლიტ“ ინტელიგენტებს? ვინ არ უწყის, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს, რომელიც მოქმედობს. აქ თუ და ამიერკავკასიის ყველა გუბერნიებში, საქმე აქვს უმთავრესად სომხებთან. შემცდარნი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ამ ბანკის საქმიანობის 75% სომხებთანაა. მაშასადამე, თუ რომ სომხებს შოვინისტური თვისება ჰქონოდეთ, ძნელი არ იქნებოდა ამათთვის ამ ბანკის არჩევნების დროს სომხების იმისთანა რიცხვი გაეყვანათ, რითაც ბანკის გამგეობა იმათ ხელთ ჩაუვარდებოდათ; მაგრამ სომხებმა არა თუ ამგვარი არაფერი ჩაიდინეს, არამედ არც კი უახლოვდებიან არჩევნებს და სრულებიდაც არ აინტერესებთ ბანკის შემოსავალის განაწილების საქმე. აღარ ვიტყვით იმას, რომ იმ ბანკში არც ერთ სომეხ მოხელეს არ ინახავენ ბანკის ქართველი „კოსმოპოლიტი“ ანტელიგენტი გამგენი, და სომხებსაც არასოდეს პროტესტი არ განუცხადებიათ ამის წინააღმდეგ.

ააშენეს ქართული უზარმაზარი გიმნაზია. 4 დესეტინა მიწა შესწირა შთამომავლობით სომხის თავადმა სოლომონ ბებუთოვმა. მერე რა? გიმნაზიის ამშენებელმა კომისიამ პრინციპიალურად გადასწყვიტა არც ერთი სომეხი მუშა, ანუ ხელოსანი არ ემუშავებია და ეს პრინციპიალური გადაწყვეტილება კიდეც შეასრულა. სომხებმა ქართველების ამ გვარი მოქმედების შესახებ არც ერთი სიტყვა არ დასძრეს. მხოლოდ ზემოხსენებული ორი მაგალითი აღვნიშნეთ, თუმცა შეგვეძლო სხვა ფაქტების ამ გვარი წამოყენებაც.

ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის, როგორც თელავის ანუ სიღნაღის, გორის ანუ ქუთაისის, ბათომის ანუ ფოთის საქალაქო თვითმმართველობათა არსებობისა ანუ არა არსებობის საკითხი, ამასთანავე ამ თვითმმართველობებში სომხების ანუ ქართველების, თათრების რუსების, ოსების ებრაელების მონაწილეობა ჩვენთვის, სომხებისთვის, სრულიადაც არ არის საინტერესო, ვინაიდან განსაკუთრებითი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის. ჩვენს მეგობარ ქართველებს ტფილისის საქალაქო ხმოსანთა რიცხვში შესვლა ჰსურთ უმთავრესად თუ არა, განსაკუთრებით იმისათვის, რათა თავიანთ ტომის ხალხს ადგილი მისცენ საქალაქო საქმეებში და ამ საქმეებიდან გამორიცხონ სხვა ერის მოხელეები. ეს არის მათი მუცლის ტკივილი. მაგრამ ამ საქმეებში ვინც უნდა იმყოფებოდეს, ჩვენთვის, მცხოვრებთათვის, ნუ თუ ერთი და იგივე არ არის?

თუ რომ მხოლოდ ქალაქის ინტერესების თვალსაზრის-ით შევხედავთ ამ საქმეს, ყველა ერთი და იგივეა; სომხებიც აქამდე ასე იქცეოდნენ და საქალაქო საქმეებში ადგილს აძლევდნენ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა. მაგრამ ასეთნი არ არიან და ასე არ ჰფიქრობენ ქართველი „კოსმოპოლიტი“ პატრიოტები. იგინი სცდილობენ თავიანთი ცოდვა სხვას მოახვიონ კისერზე და ყოველ ძალას ხმარობენ, რათა გადაამტერონ ერთი მეორის გვერდით საუკუნოებით მცხოვრები ერები თავიანთვის სასურველ ერთი ლუკმა პურისათვის.

ბატონებო, ჩამოიხსენით ნიღაბი და ისე ილაპარაკეთ. გსურთ რომ საქალაქო არჩევნებში დემოკრატიულ პრინციპებით იხელმძღვანელოთ, მიჰმართეთ იმათ, ვისგანაც ეს დამოკიდებულია. განაახლეთ და გამოსცვალეთ კანონები, თუ შეგიძლიანთ, და თუ ამის შეძლება არა გაქვთ, ერთა შორის კაკალს ნუ დასთესთ.

ჩვენ ხშირად გვიგემია უცხოების მიერ დათესილი ეკალი და გადაგვისროლია; დამთესავნიც გვიცვნია; და ახლა გული გვტკივა, რომ ამ ეკლის მთესველნი ჩვენი მეზობელ ხალხის ინტელიგენტნი არიან“.

ასე ჰგოდებს სომხური გაზეთი. ბევრი რამ საყურადღებო და დამახასიათებელია ამ გოდებაში, რომლის შესახებაც მკითხველებს ცალკე მოველაპარაკებით.

## სახელმწიფო სათათბირო

დ ე პ ე შ ე ბ ი

(გაგრძელება).

კაპუსტინი თავმჯდომარეობს.

ზოგრაფსკი მე-2 ამტკიცებს, ფინლანდიაში არ იჩაგრება არც პროლეტარიატი, არც დემოკრატია, არც წვრილი ბურჟუაზია, იჩაგრებიან მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტებიო. მაგრამ ამ შეზღუდვას მთელი ქვეყნისთვის ზრუნვა უდევს სარჩულად. ეხლა სურთ ფინლანდიელები რუსის ხალხს უუფლებობაში გაუთანასწორონ. (ტაში მარცხნივ). მესამე სათათბიროს უმრავლესობა აკლების პოლიტიკას ემხრობა. სოც.-დემოკრატები აცხადებენ, რომ რუსის ხალხი თქვენი წყალობით კი არა, საკუთარ ძალ ღონით მოიპოვებს რუსეთში თავისუფლებას (ტაში მარცხნივ) და მაშინ ფინლანდიელები თვით მიანიჭებენ თანასწორობას რუსის მოქალაქესო (ტაში მარცხნივ).

ზამისლოვსკი. კანონპროექტი შესაძლებელ შეტაკებათ სპობს, რადგან ყოველგვარ უთანხმოებას სენატი გადასწყვეტს. შემდეგ მოლაპარაკე ეხება მილიუკოვის აზრს, რომელმაც განაცხადა ფინლანდია განათლებულია, რუსეთი—ველურიო. ზამისლოვსკის სიტყვით, ფინლანდიაში უფრო მეტი ბოროტი მოქმედება ჰხდება, ვიდრე რუსეთში. იქ ლოთობაც მეტია, ვიდრე რუსეთში. ფინლანდია რუსეთის კულტურაზე მაღლა არა სდგასო. (მარჯვნივ ტაში).

ხარუზინი. მინისტრის ლაპარაკი ნამდვილი პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და კანონ-პროექტის წინააღმდეგ წამოყენებული საბუთები სრულიად არ დაურღვევია. მინისტრმა გადაჭრით სთქვა, კანონპროექტს დეკლარაციის ხასიათი აქვსო და მაშასადამე მას ადმინისტრაცია განახორციელებს. ფორმალურადაც იგი 1910 წლის 17 ივნისის კანონს არ ეთანხმება, რადგან ფინლანდიის მოქალაქეობის მცნებას აუქმებს ასეთი საკანონმდებლო ტაციობის გზა. ფრიდმანი კანონ-პროექტის წინააღმდეგია.

ანტონოვი მაკლაკოვის წინააღმდეგ ლაპარაკობს. კადეტების წინააღმდეგობა ადვილი ასახსნელია: ისინი მადლობას უხდიან ფინლანდიელებს სტუმართმოყვარეობისთვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს ფინლანდიის მიწა-წყალზე. ალბად კადეტებს ეშინიანთ, ვიბორგში რუსის მოხელენი რომ იქნებიან, პარიზს მოგვიხდება წასვლაო.

გრაფსკი განსახილველი კანონ-პროექტი ავანტიურად მიაჩნია. მისი საშუალებით რუსეთის მმართველ კლასებს ფინლანდიაში ყოველი კულტურის მოკვლა სწადიანთ, რადგანაც განახორციელებენ იმავ 129 მუხლს, რის წყალობითაც რუსეთის საუკეთესო შვილნი ციხეებში ლპებიან და კულტურა ისპობა.

მილიუკოვი. მინისტრმა განაცხადა, კანონი რუსის მოხელეებით ფინლანდიის გასავსებად არ გამოიცემისო, ფაქტებს ეწინააღმდეგება. ჯერ 1898 წელს ბიბიკოვი ამბობდა, „კრამოლის“ მოსასპობად ფინლანდიის სასამართლოებში რუსების შეყვანაა საჭიროო. მინისტრი ამტკიცებს, კანონ-პროექტი გადაჭრით არ უკრძალავს რუსებს ფინლანდიაში სამოქალაქო სამსახურსაო. აღნიშნავ, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ I კანონი გამოსცა, რომლითაც ფინლანდიის მოქალაქეობას ფინლანდიის სამსახურში შესვლაც მოსდევდა. მაკლაკოვი სხვის ბანაკში კი არ გადასულა, დროებით შეეხო საგანს უმრავლესობის თვალით მის უსაფუძვლობის დასამტკიცებლად. მაკლაკოვის აზრისა იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე,—დეკლარაციულ კანონების გამოცემას უარჰყოფდა. მეო, მწუხარებით მოვისმენ რუსის სასამართლოების თაობაზე ლაპარაკს, რადგანაც რაც მას მინისტრი შჩეგლოვიტოვი უდგას სათავეში, სახელმწიფოს დამცველი კი არა, დამანგრეველიაო (ტაში მარცხნივ, ხმაურობა მარჯვნივ).

მაკლაკოვი. მე ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ რუსთა გათანასწორების კანონის სახით, რომელიც მომწონს, კონტრაბანდად ადმინისტრაციასაც საკანონმდებლო უფლებას ანიჭებენ. დარწმუნებული ვიყავი სათათბიროსთვის კონტრაბანდა იყო ესა, მაგრამ სამინისტროსთვის, ეჭვი არ არის, საჭირო ბარგია. სამინისტროს მიერ განზრახული ცვლილება ფინლანდიის კანონმდებლობისა, შეუძლებელია. რუსის სასამართლო ისეთ პირობებშია, რომ პასუხისგებას ვერ დავაკისრებდით. რუსის სასამართლო შეურაცხჰყო არა მაკლაკოვმა, არამედ ხუთის წლის წინად მთავრობის წევრმა ამ ტრიბუნიდან განაცხადა, სათათბიროში მოსამართლეთა შეუცვლელობის კანონს შემოვიტანო და ვერ მიჰხვდა, რა დიდად შეურაცხჰყო მაშინ რუსის სასამართლო (ტაშს უკრავენ მარცხნივ).

შუბინსკი კომისიისთვის გადაცემის წინააღმდეგია. მაკლაკოვის სიტყვა ყველაზე ნიჭიერი იყო საგნის ბურუსში გახვევის მხრით. მაკლაკოვი რომ გულწრფელი ყოფილიყო, თუ ეს კანონი არ მოსწონდა, სხვას გამოიმუშავებდა, შესწორებას შეიტანდა. პოკროვსკის სიტყვამ დაგვანახვა, რომ ოპოზიცია გამოიფიტა და გინებას მიჰყო ხელი. მილიუკოვს თუ მტკიცე და დიდი პროტესტი არ გაუცხადებს იმიტომ, რომ ყურს არავინ უგდებდა. აქ წარმოდგენილ საბუთებს ძალა სრულიად არა აქვთ და მხოლოდ საქმის შეფერხებას შეუწყობენ ხელსა (ცენტრსა და მარჯვნივ ტაშს უკრავენ).

მომხსენებელი გრაფი ბენიგსენი ყველა საბუთს ეხება და იმედი აქვს, ფინლანდიელების ასაჯანყებლად მოწოდება ვერ განხორციელდება, მით უმეტეს არ განხორციელდა ვიბორგის მოწოდებაო (ცენტრი და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

უარჰყვეს კადეტების წინადადებას კანონ-პროექტის ისევ კომისიისთვის გადაცემის თაობაზე.

კენჭის ყრის თაობაზე ლაპარაკობენ მამა სენდერკო, ამოსენკო და ბაზილევიჩი. ისინი აცხადებენ, მუხლობრივ განხილვის წინადადებას მივცემთ ხმასაო.

სეჯენსკი—პოლონელთა კოლო ხმას მისცემს (?).

მორიგ საქმეებზე გადასვლა მიღებულ იქმნა 228 ხმით 93 წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატებმა მონაწილეობა არ მიიღეს. შემდეგი სხდომა სამშაბათ საღამოს მოხდება პრეზიდიუმის ასარჩევად.

1 ნოემბერი.

თავმჯდომარეობს თ-დი ვოლკონსკი. პრეზიდიუმი უნდა აირჩიონ.

პეტროვი მე-3 „შრომის ჯგუფის“ სახელითა და გეგეჭკორი კი სოც.-დემოკრატების სახელით აცხადებენ, როგორც წინად, ეხლაც პრეზიდიუმის არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ, რადგან მესამე სათათბიროს მოქმედების პასუხისგებას ვერ ვიკისრებთო.

ნეკრასოვი. კადეტები მწუხარებით აღნიშნავენ, რომ სათათბიროში ძალიან ცუდი ჩვეულება გავრცელდა. მაგინებელნი უნდა დაისაჯნენ, თავმჯდომარემ ნება არ უნდა მისცეს ტრიბუნიდან ვისმე სახელს ჩირქი მოსცხონ. მან სიტყვის თავისუფლება და პარტიის განურჩევლად ყველა წევრის ღირსება უნდა დაიცვას. ამიტომ კადეტები არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ და პრეზიდიუმისადმი თავისი დამოკიდებულებას შავის კენჭით აღნიშნავენ.

ვიშნევსკი. მემარჯვენეები კი არ ილანძღებოდნენ, უფრო მემარცხენენიო. ისინი თავის ამხანაგ-წევრებს შეურაცხყოფდნენ. მემარჯვენენი მთელის ძალღონით დაეხმარებიან პრეზიდიუმს სამისო ბრძოლაში.

როძიანკოს თავმჯდომარედ ასახელებენ 218 ბარათით 62 ცარიელია. იგი თანხმობას აცხადებს. კენჭის ყრის დროს როძიანკომ 233 თეთრი კენჭი მიიღო, 91 შავი. ცენტრი და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ.

როძიანკო თავმჯდომარის ადგილზე ადის და ამბობს: ბ-ნნო სათათბიროს წევრნო! გმადლობთ იმ ნდობისათვის, რომელიც არჩევით გამომიცხადეთ, ვიცი, არჩევა მარტო უფლებას კი არა მოვალეობასაც ბევრს მაკისრებს; მე სათათბიროს ღირსება უნდა დავიცვა, განსაკუთრებით სხდომებზე. ამ საქმეში თქვენც უნდა დამეხმაროთ. ჩვენს მიზანს აჩნაირის კავშირით თუ მივაღწევთ, მეტსაც ვიტყვი უამისოდ თავმჯდომარის უფლება უძლურია. ბატონებო, იმედი მაქვს, ჩვენი მუშაობის უკანასკნელ ხანს მშვიდობიანად დაამთავრებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და მის სადიდებლად. მიიღეთ ჩემი მხურვალე სალამი (ხანგრძლივი ტაში ცენტრსა და მარჯვნივ).

თავმჯდომარის თანაშემწე თ-დი ვოლკონსკი 279 ბარათით დაასახელეს, კაპუსტინი 217, სხვა კანდიდატებმა ათზე ნაკლები ხმა მიიღო.

არჩეულ იქმნა თავადი ვოლკონსკი რომელმაც 269 თეთრი და 20 შავი კენჭი მიიღო (ხანგრძლივი ტაში ცენტრისა, მემარჯვენეთა და კადეტების ნაწილისა).

კაპუსტინი აირჩიეს 205 ხმით, 95 წინააღმდეგ. თავმჯდომარის უფროს ამხანაგად უკენჭოდ თ-დი ვოლკონსკი აირჩიეს, რადგან კაპუსტინმა კენჭის ყრა არ ინდომა (ტაში ცენტრისა, მემარჯვენეებისა, ზოგიერთ კადეტებისა).

სათათბირომ მდივნის უფროსი თანაშემწე უნდა აირჩიოს.

ბერეზოვსკი მე-2 აცხადებს, მემარჯვენენი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, რადგან ეგ თანამდებობა ხომ ზამისლოვსკის უჭირავს და იგი ხუთის წლითაა არჩეულიო. მდივნის სხვა თანაშემწენი კენჭის ყრის წინააღმდეგნი არიან და ამიტომ უფროს თანაშემწედ მიკლაშევსკი გამოაცხადეს.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

საღამოს სხდომაზე მოისმინეს მინისტრების განმარტებას მოუსავლობით დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენის თაობაზე შეკითხვის პასუხად.

## ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **გ. მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილე.** 31 ოქტომბერს კრება ჰქონდა ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის საიუბილეო კომისიას. პირველად კომისიამ დაადგინა, შეადგინოს მოწოდება ქართველ საზოგადოების მიმართ. მოწოდებაში ჩამოთვლილი იქნება იუბილარის სასცენო ღვაწლი 32 წლის განმავლობაში. ამავ მოწოდებით კომისია სთხოვს საზოგადოებას, დროზე აცნობოს, რა სახით მიიღებენ მონაწილეობას მსახიობ-ქალის იუბილეში. კომისიამ იუბილე 1912 წლის 22 იანვრისთვის დანიშნა და შემდეგი დაადგინა: საიუბილეო კომისიის წევრთა შესავსებლად ახალი წევრნი მოიწვიოს: ქ-ნი: ა. მაჩაბლისა, ნ. ყიფიანისა, ე. აფხაზისა, ა. დიასამიძისა, თ. გრუზინსკისა და მ. ორბელიანისა და ბ-ნნი: გ. დიასამიძე, ი. ზურაბიშვილი, თავ. პ. თუმანიშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, ს. კლდიაშვილი, ი. მერკვილაძე, პ. მამრაძე, კ. ყიფიანი, ი. გომართელი, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი, ქართულ-რუსულ-სომხურ რედაქციების წარმომადგენელნი, ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია და სხვა. საიუბილეო დღესასწაულის თავმჯდომარედ მხცოვანი მგოსანი აკაკი იქნება. კომისიის შემდეგი კრება ორშაბათს, 17 ნოემბერს, მოჰხდება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, კომისიის თავმჯდომარე იქნება არჩეული.

◆ **სტამბის გაჩხრეკა.** 1 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, „შრომის“ სტამბა გაჩხრიკეს.

◆ **საზარელი დრამა.** გუშინ დილის 10 ნახ. საათზე, სუდებნი ქუჩაზე საკუთარს ბინაზე (№ 6) პრაუნინგის რევოლვერი საფეთქელში დაირტყა რეზინეულის ამხანაგობის „პროვოდნიკის“ უფროსმა ბუხალტერმა ფედოსი პეტრეს ძე რომანცევმა. სასიკვდილოდ დაჭრილი რომანცევი საავადმყოფოში გაგზავნეს. თავის მკვლელმა რამდენიმე ბარათი დასტოვა. ამათში სამი წერილი პოლიციის სახელზეა. ერთში სწერია: „ჩემს სიკვდილში ნურავის ბრალს ნუ დასდებთო“, მეორეში: „ჩემი ქონება „პროვოდნიკთან“ მოსამსახურე კ. პ. გუსიევს გადაეცით და ის მისცემს დანიშნულებას ჩემის სურვილის თანახმადაო“ და მესამეში სწერია: „ქრისტიანულ წესით ნუ დამმარხავთ, რადგანაც მე ურწმუნო ვიყავ და ასეთსავე რწმენით მოვკვდიო“. თავის მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია. ამბობენ, ექიმისგან შეიტყო, რომ ჭლექით იყო ავად და ის გაუხდა თავის მოკვლის მიზეზადაო.

◆ **საქალაქო არჩევნები.** ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ა. გ. არღუთინსკის თხოვნის თანახმად პოლიცმეისტერმა ბოქაულებს დაავალა უარი არ უთხრათ ამომრჩევლებს იმ ქაღალდების შემოწმებაში, რომლითაც ისინი რწმუნებას აძლევენ სხვებს არჩევნებში მათ მაგივრად მონაწილეობის მისაღებად. ეს ბრძანება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მეთერთმეტე უბნის ბოქაულს ამგვარ ქაღალდების შემოწმებაზე უარი უთქვამს, ჩემს მოვალეობას არ შეადგენსო.

◆ **პანაშვიდი.** გუშინ პირველ გიმნაზიის მასწავლებლად ნამყოფ ტროიცკის საფლავზე (კუკიის სასაფლაო) მღვდელი აკურთხეს და პანაშვიდი გადაიხადეს ამ ტრაგიკულად გარდაცვალებულ მასწავლებლის სულის მოსახსენებლად.

◆ **ფუნიკულერი** 1 ნოემბრიდან მხოლოდ კვირა უქმე დღეებში იმუშავებს დილიდან დაწყებული ნაშუადღევის 4 საათამდე.

◆ **შეღავათი.** ფინანსთა მინისტრმა შესაძლებლად სცნო დაკმაყოფილებულ იქმნას ტფ. საბირჟო კომიტეტის თხოვნა იმის თაობაზე, რომ სპარსეთსა და ოსმალეთში გასაგზავნი საქონელი სასაზღვრო საბაჟოებში შემოწმების მაგივრად ტფილისში შეამოწმონ, იმ პირობით კი, რომ საბაჟოსთან ვაჭრების ხარჯით საბაჟო კონტროლიორის თანამდებობა დაარსდეს. უკანასკნელი მოთხოვნა საბირჟო კომიტეტს უსამართლოდ მიაჩნია და ამ საგნის თაობაზე ვრცელი მოხსენება შეაქვს საბირჟო ვაჭრობისა და სასოფლო მეურნეობის წარმომადგენელთა მომავალ კრებაზე.

◆ **სამღვდელოების საეპარქიო** კრება დეკემბერში მოხდება.

◆ **გადასახადის პატიება.** უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მინისტრთა საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ავ. ივ. ციციშვილებს ეპატიოთ საერობო და სახელმწიფო გადასახადი 1835 მან. 24 კ., რომელიც ირიცხება გორის მაზრის სოფლებს ქარელსა, დოისსა და მაწლეტში მდებარე მათ მამულებზე.

◆ **მაძებარ ძაღლების გასაწვრთნელი სკოლა.** ტფილისში, ვერაზე, გაიხსნა მაძებარ ძაღლების გასაწვრთნელი სკოლა, რომელიც ერთად ერთს ასეთს სკოლას წარმოადგენს მთელს კავკასიაში, სკოლაში ოთხის თვის კურსია დაწესებული. მაძებარ ძაღლების გაწვრთნას ამ ჟამად ამ სკოლაში 21 პოლიციელი სწავლობს. ანატომიასა, ფიზიოლოგიასა, ჰიგიენასა და ძაღლების ავადმყოფობათა შესახებ მსმენელებს ლექციებს უკითხავს ბეითალი ა. ლა სენიავსკი.

◆ **თავ. გ. ამირაჯიბისა და ი. რატიკეს ინციდენტი ჟურნალისტთა საზოგადოებაში** იქმნა გადატანილი. როგორც მკითხველთ უწყიან, ამ ინციდენტის შემდეგ „ზაკავკაზიე“-ს რედაქტორმა ი. რატიკემ რედაქტორობას თავი გაანება, რადგანაც ამ ამბის შემდეგ ჩემთვის

შეუფერებლად ვსთვლი რედაქტორის სახელის ტარებასო. ბ-ნმა რადეკემ ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობას სთხოვა, ხსენებული ინციდენტი განიხილეთ და რედაქტორობის წოდებაში აღმადგინეთო. გამგეობამ დაადგინა, ამ საკითხის გამო მოხსენება შეადგინოს და განსახილველად საზოგადოების საერთო კრებას წარუდგინოს.

## სასამართლო.

✦ **უმაღლესად შეწყნარება.** ტფილისში ცნობა მოვიდა, ინჟინერი ვ. ს. კოლიუბაკინი უმაღლესად შეწყალებულ იქმნაო. როგორც მკითხველთ ეხსომებათ, 1910 წლის მაისში კოლიუბაკინმა რევოლვერით მოკლა თავისი მეუღლის საყვარელი ნამესტნიკის კანცელარიის მოხელე ნ. ვებერი. ოლქის სასამართლომ მას ღირსების აყრა და 3 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა პალატამ მას ერთის წლის ციხე გადაუწყვიტა და თან შუამდგომლობა აღძრა კოლიუბაკინის სრულს შეწყალების შესახებ.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სეხია**, რომელიც თელავს იყო წასული, მესამე დღეს ტფილისში დაბრუნდა.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სეხია** გორიდან ტფილისს დაბრუნდა.

## რკინის გზა

✦ 31 ოქტომბერს განჯის რკინის გზის სადგურზე ვაგონის დატვირთვის დროს ძირს ჩამოვარდა უფროსი მუშა ნევტუნ-აბას-ოღლი და მარჯვენა ფეხი მოიტეხა.

✦ 1 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, ვაგონების ვარჯიშობის დროს, ტფილისის სადგურზე ვაგონს ქვეშ მოჰყვა ტფ. მოქალაქე ქსენია სმირნოვისა და ორსავე ფეხში მძიმედ დაშავდა

✦ 1 ნოემბერს, აჯიქაბულის სადგურზე ვაგონების გადაბმის დროს უცაბედად ვაგონებს შუა მოჰყვა ვაგონების გადამბმელი დავით ლომიძე. ვაგონმა ლომიძეს გულის ფიცარი შეუნგრია. მისი მდგომარეობა საშიშია.

✦ 1 ნოემბერს, დილის 11 საათზე, საჩხერის სადგურზე გლეხმა მელქო ქებაძემ, დანით მუცელში სასიკვდილოდ დასჭრა ბარგის მიმღები უფროსი მუშა ირაკლი ლაბაძე.

✦ **ჟანდარმის მოკვლა.** 1 ნოემბერს ჟანდარმა მაქსიმ სტოლიარმა შამქორის სადგურზე საფოსტო მატარებლის მოსვლის წინად (ნაშუადღევის 4 საათზე) ორი საეჭვო კაცი შენიშნა და ამიტომ სადგურის უფროსის კანტორაში მიიწვია. უცნობებმა პასპორტები წარუდგინეს, ერთმა თელავის მაზრის სოფელ შილდის მცხოვრების ვლადიმერ ლომიშვილისა, ხოლო მეორემ —ქუთაისის გუბერნიის სოფელ საქტირის მცხოვრებ ვახტანგ ბოჩორიშვილის სახელზე. ჩვენების ჩამორთმევის დროს ერთმა უცნობთაგანმა უცებ ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და ჟანდარმი სამის ტყვიით იქვე მოჰკლა. ამის შემდეგ უცნობნი კანტორიდან გამოვარდნენ და უკვალოდ მიიმალნენ.

## სომხეთა ცხოვრება

✦ **ქათალიქოსის არჩევნებისათვის** რუსეთის ეპარქიები (სულ ექვსია) დელეგატების არჩევას მორჩნენ. როგორც გამოირკვა, 4 ეპარქია ორმანიანის კანდიდატურას უჭერს მხარს, ორი კი, სახელდობრ ასტრახანისა და ერევნისა—ამ კანდიდატურის წინაღმდეგია.

## ქუთაისი

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭომ 31 ოქტომბერს ფეხზე წამოდგომით პატივი სცა გარდაცვალებული ნ. ცხვედაძის ხსოვნას და გადასწყვიტა თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს მის დასაფლავებაზე დასასწრებლად.

✦ ქართული გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ სამძიმრის დეპეშა გაგზავნა ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო და თან გადასწყვიტა თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს დასაფლავებაზე დასასწრებლად.

✦ ოლქის სასამართლომ გაარჩია 31 ოქტომბერს სათავად-აზნაურო ბანკის ბუხჰალტერის ჩხვანიძის საქმე და პისი საჩივარი იმის შესახებ, რომ სრული პენსია ერგება, უსაფუძვლოდ სცნო.

✦ **ხკოლის დაარსება.** სამოსწავლო წლის დასაწყისიდან შემდეგი 1 კლასიანი პირველ დაწყებითი სკოლები დაუარსებიათ: ზუგდიდის მაზრაში—ქვალონის, ლეკახის, რიკის და დიდონედის;

✦ **მერკვილაძის რაზმელების დამცველებმა** 31 ოქტომბერს შეიტანეს საკასაციო საჩივარი; თვით ბრალდებულებმა კი სთხოვეს ნამესტნიკს სასჯელის შემსუბუქება.

✦ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას დარჩენია გასულ სეზონიდან თეატრის ბილეთის ჩამომრთმევლების ვალი 60 მანეთამდე, რაც ჯერაც არ გადაუხდია. ამ სეზონში ჯამაგირი მათთვის გაუნახევრებია. იმასაც, თურმე, დროზე არ აძლევს.

✦ **ქალაქის გამგეობის** მოთხოვნაზე, პოლიცმეისტერი უგზავნის მას სხვა და სხვა საპოლიციო ნაწილებიდან „ნედოიმკების“ სიას და აცნობებს, რომ ასეთივე სია „ნიგორის“ ნაწილში მოუსპიათ რევოლიუციონერებს 1905 წლის 27 ნოემბერს.

✦ ქუთაისის გუბერნატორის ოადგილე სთხოვს ქალ. გამგეობას, ზომები მიიღოს პოლიცმეისტრის კანცელარიასთან საპურსალოს აშენების შესახებ.

✦ **თავდასხმა.** ნატანების ზასტავთან, 31 ოქტომბერს, რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი თავს დასხმია მიმავალ ფოსტას, აუტეხია სროლა, დაუჭრია სასიკვდილოდ ერთი დარაჯთაგანი და გაუტაცებია 7000 მან. სასტიკი ზომებია მიღებული ბოროტ-გამზრახველების აღმოსაჩენად „მნათ“

✦ ქუთაისის გუბერნიის **სკოლების ინსპექტორს** თავ. ზ. პ. მიქელაძეს სესხის ამხანაგობათა დასარსებლად შემდეგს სოფლებში დაუნიშნავს ყრილობა: 6 ნოემბერს ხარაგაულს, 9 ნოემბერს სოფ. კორბოულს (შორაპნ. მაზრაა); შემდეგ ამგვარივე ყრილობა ამავე მაზრის სოფელ საქარასა და თეროჯოლასაც მოხდება.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ **ზესტაფონელ ვაჭრებს** შუამდგომლობა აღუძრავთ,—ამას წინად დათხოვნილი პოლიციის მოხელეს კ. ნემსაძეს ისევ დაუბრუნონ სამსახური დ. ზესტაფონში. „კოლხიდა“.

## პროვინცია

✦ სოფ. ბუშატი (თელავის მაზ.) დღეით დაუთითნახე ამოღებულ ხანჯლით შეაჭრა თავის მეზობლის ეგნატე მიხეილის ასულს შიუკაშვილის ოთახში და მოკლა დაუშინა. ქალი ფანჯრიდან გადახტა და დაშავდა. ქალს ყვირილზე მეზობლები მიეშველნენ და სიკვდილს გადაარჩინეს.

✦ სოფ. დიდი ხანჩაბი (ახალქალაქის მაზრა). საქონელს შავი ჭირი გაუჩნდა. სენის მოსასპობად სამაზრო ექიმებმა ენერგიული ზომები მიიღეს.

✦ სოფ. მატანი (თიანეთის მაზ.) ადგილობრივ ადმინისტრაციის სროლა მოუხდა უცნობ ყაჩაღის ბუადძის ბრბოსთან. სისხლის კვალის მიხედვით ფიქრობენ, რომ რამდენიმე ყაჩაღი დაჭრილა. ყაჩაღებმა სიბნელით ისარგებლეს და მიიმალნენ. მათ საერთო დარაჯები დაედევნენ.

✦ სოფ. ზოდეხი (დუშეთის მაზ.) ისაკ ბუნტურმა წხუბის დროს კომბლით მოჰკლა თავისი მეზობელი ანდრია ბუნტური. მკვლელი შეიპყრეს.

# ნ. ზ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო

## დიდებულ მოხუცის ხსოვნას

დღეს მიწას ვაბარებთ ერთს საუკეთესო ქართველს ნიკოლოზ ცხვედაძეს. ეს სახელი იმდენად პატივსაცემია ყველა ქართველისაგან, რომ ვისაც ქართველთა აღზრდა-სწავლის საქმე აინტერესებს, ის გულგრილად ვერ აუვლის გვერდს დიდებულ მოხუცის ცხედარს.

ნ. ცხვედაძე არც ისე ხნიერი იყო, რომ იმის გარდაცვალება დიდს დანაკლისს არ წარმოადგენდეს ჩვენთვის. იგი გასტეხა და სამარის კარს მიუახლოვდა მხოლოდ თვისგანვე არჩეულმა გზამ — სწავლის გავრცელებისათვის ზრუნვამ,—ეს იყო იმისი წმიდათა-წმიდა და ამას ემსახურებოდა იგი სიყრმიდან სიკვდილამდე. ძნელია წარმოიდგინოს კაცმა ის გულმხურვალე სიყვარული და ზრუნვა, რასაც განსვენებული. ნ. ზ. ყოველს ჩვენს საქმეში იჩენდა და განსაკუთრებით ამ ბოლო დროს სააზნაურო გიმნაზიის საქმეში. მე თვით, ამ სტრიქონების დამწერმა, ვნახე იგი ამ რამდენისამე თვის წინად ბანკში. დაუძლურებული, სნეული, ფეხზე ძლივს იდგა და მაინც კიდევ დადიოდა, რომ სკოლის შენობის გადაგირავების საქმე როგორმე მოეწყო. თითქო გული მისდიოდა, სახეზე ფერი ეცვლებოდა, ვიდრე თავის თხოვნის შედეგს გაიგებდა. ეს წამი ჩემს თვალში იმდენად წმინდა და სათაყვანო იყო, რომ ღრმად აღმებეჭდა გულში და არასოდეს არ ამოიშლება იგი ჩემის ხსოვნიდან. ჩვენ საჭიროდ არა ვთვლით ჩამოვთვალოთ ყოველი მისი ღვაწლი, ეს იმდენად თვალ საჩინოა თავის-თავად, რომ ეს პატარა წერილი ვერას შემატებს განსვენებულის სახელს. თვალი გადაავლეთ იმ დიდებულს ტაძარს, რომელიც განსვენებულ ცხვედაძის დაუღალავმა შრომამ აღაგო ქართველ ახალგაზრდობის სულიერ საზრდოს მისაწოდებლად, და თქვენთვის ცხადი იქნება, რომ დიდებულმა მოხუცმა სიცოცხლითვე დაიდგა უკვდავი ძეგლი, თუმცა იგი, სხვებივით, არასოდეს არ ყოფილა ქება-დიდების მოტრფიალე. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ ვისაც ამ დიდებულის პიროვნების პატივისცემა აქვს, ვინც აფასებს ჩვენებურთა განათლების საქმეს, ის ხელს შეუწყობს, რომ ნ. ცხვედაძისაგან აგებულს ქართველთა თავმოსაწონებელის დიდებულ ტაძარს უკუღმართი ხელი არ შეეხოს და მარად გაისმოდეს იქ ზნეობისა და გონების მწყვრთნელი ხმა ჩვენის ახალ გაზრდობისა. ამას დასტრიალებდა თავს განსვენებული, ამისთვის უძგერდა პატიოსანი გული და ეს იქნება საუკეთესო დაფასება იმის უანგარო ღვაწლისა.

მშვიდობით, დიდებულო მოხუცო! თვალ წინ მიდგია შენი მოციქულებრივი მშვიდობიანი სახე და სასოებით მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე!..

**განდეგილი.**

გუშინ, საღამოს 7 საათზე, გადახდილ იქმნა **პანაშვიდი ნიკ. ზ. ცხვედაძის სულის მოსახსენებლად** განსვენებულის ბინაზე. პანაშვიდს საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და განსვენებულის ჭირისუფალნი დაესწრნენ.

**ქართულს გიმნაზიაში** გუშინ, შუადღისას, პანაშვიდი იქმნა გადახდილი განსვენებულ მოღვაწის **ნ. ცხვედაძის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო, სხვათა შორის: გიმნაზიის მასწავლებელ-მოსწავლენი, წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელნი და სხვანი.

**ქართულმა სათავად - აზნაურო ბანკმა** 12 თუმანი გადასდო ქართულ გიმნაზიაში განსვენებულ **ნ. ზ. ცხვედაძის სახელობაზე** რამდენიმე მოწაფის განსათავისუფლებლად სწავლის ფულისაგან.

**ქალაქის გამგეობამ** დაადგინა, აცნობოს ხმოსნებს ნ. ზ. ცხვედაძის გარდაცვალების ამბავი, შეამკოს გვირგვინით განსვენებულის კუბო და სრულად დაესწროს დასაფლავებას.

**ნიკ. ზებ. ცხვედაძის დასაფლავების** გამო დღეს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სწავლა არ იქნება. დღეს ამავე მიზეზით დაკეტილ იქნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის სადგომი.

**განსვენებულ ნიკ. ზებ. ცხვედაძის დასაფლავება დღეისთვის არის დანიშნული.** ცხედარს საკუთარ ბინიდან (გუნიბის ქუჩა, № 10) დილის ათ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წაასვენებენ, სადაც ქალაქის შავის და თეთრის სამღვდელოების მონაწილეობით ალავერდის ეპისკოპოსი დავითი სწირავს. წირვის შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გოლოვინის პროსპექტით გაივლის ვერის ხიდს და მიხეილის ქუჩით დიდუბის ეკლესიაში გაემგზავრება. ეკლესიის გალავანში განსვენებული დაკრძალულ იქმნება დ. ზ. სარაჯიშვილის გვერდით, თანახმად უკანასკნელის მიერ გამოთქმულ სურვილისა. დასაფლავებაში მონაწილეობას მიიღებს ყველა საზოგადო დაწესებულებანი, სადაც განსვენებული 30 წლის განმავლობაში დაუღალავად მოქმედებდა.

**სამეურნეო ბანკმა დაადგინა,** გვირგვინით **ნ. ცხვედაძის კუბოს** შემკობის მაგიერ, ერთი-ერთი ღარიბი შეგირდი ქართულის გიმნაზიის სწავლის ფულის შეტანისაგან გაანთავისუფლოს წელს.

## სამგლოვიარო დეპეშები

**ქუთაისი.** წ. კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილება ღრმად დაამწუხარა დაუღალავ საზოგადო მოღვაწის დაუვიწყარ ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის გარდაცვალებამ. განსვენებულს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ერის წინაშე.

**საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ოცხელი.**

**ფოთი.** განსვენებულის ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო რომელიც 30 წელიწადზე მეტს მუშაობდა წერა-კითხვის საზოგადოების და ქართულ სათ.-აზნ. გიმნაზიის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ, წ.-კითხვის საზოგადოების ფოთის განყოფილება, განსვენებულის პატივის მცემელნი ფოთელნი და მოსწავლენი აცხადებენ ღრმა მწუხარებას. საუკუნო ხსენება ნიკოლოზ ზებედეს ძის სახელს.

**მეუნარგია.**

**ქუთაისი.** ქუთაისის ქართული გიმნაზია გულმოკლულია პატიოსან და ენერგიულ საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის გარდაცვალებით. **ოცხელი.**

**ქუთაისი.** უღრმეს მწუხარებას ვაცხადებთ დაუვიწყარ ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის გარდაცვალებისა გამო, რომლის დაკარგვითაც ქართველ საზოგადოებას მოაკლდა უსაზღვროდ თავგამოდებული და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე.

**„კოლხიდის“ რედაქცია.**

**სამტრედია.** ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას ქართველ ერის იშვიათ საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის დაკარგვის გამო.

**სამტრედიის წ. კ. გ. საზოგადოება.**

**ბაქო.** გული დამითუთქა ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის გარდაცვალებამ. დაე, მისი სიცოცხლე იყოს მაგალითად, თუ როგორა ჰქმნის დიდებულ საქმეს ენერგია, გარჯილობა და სიყვარული.

**ელიაშვილი.**

# მსახიობის გულიდან ამონაკვნესი

ბევრი რამ დაწერილა და ეხლაც იწერება ქართულ თეატრის ბედიიღბალზე, მის აწმყო მდგომარეობაზე და მომავალზე. თეატრის ეტიკა ნებას არ გვაძლევს ჩვენ, მსახიობთ, რომელთაც ყველაზე მეტად ეხება ეს მწვავე კითხვა, ხმა ავიმაღლოთ და ჩვენი აზრიც წარმოვსთქვათ, ან პასუხი გავცეთ ხოლმე ზოგიერთ ბეც კრიტიკოსებს, რომელნიც ჩვენი

# შემოდგომა

სუსხისაგან დამჭკნარ ფოთლებს
შორსა ჰფანტავს ცივი ქარი;
ტყეს გაძარცულს თავს დაჰკვნესის,
შტოებს ხვდება ვით ნესტარი.

—

ნაკადი სტირს სევდიანად,
ცრემლსა აფრქვევს ცა პირ-ბნელი;
ბარი ჰგლოვობს გაზაფხულსა
ნისლში სცურავს მინდორ-ველი.

—

ღამის კვნესა იდუმალი,
მთა-ბარს აკრთობს... ისრად ჰხვდება;
და ალმტაცი ჩანგის ჟღერა
მის ზუზუნში უხმოდ ჰკვდება!..

* *
*

ნუ, ნუ მეტყვი, ფიქრთა ლანდო,
შემოდგომის ცივსა ზღაპარს,—
თორემ ჩემ სულს ნაღველს მოჰფენ,
და ჩააქრობ სწრაფვის ლამპარს...

—

დე იგლოვოს... თვით ბუნებამ,
კვნესით სევდის ცრემლი ჰღვაროს
და ნარნარი ველთ სიმწვანე
თვის ნაღველში მიამკვდაროს!..

—

ჩვენ კი ჰიმნი კვლავ ვუმღეროთ
იმედის ტკბილ ხვაშიადსა
და კვლავ შევხვდეთ აღტაცებით
გაზაფხულის განთიადსა!..

**ს. ფაშალიშვილი.**

# კოოპერატიული მოძრაობა დასავლეთ ევროპაში

(შემნახველ-გამსესხებელნი ამხანაგობანი იტალიაში ახალ ოფიციალურ სტატისტიკით. კოოპერატიულ დაწესებულებათა საზოგადო კრება რომში)

**გ. ტოტომიანცისა.**

I

1.

იტალიის მიწად-მოქმედებისა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებული სასტატისტიკო ცნობები იტალიის სახალხო ბანკების მოქმედებისა ფრიად დიდ ყურადღებას იქცევს. იტალიაში დღეს არსებული სახალხო ბანკები პირმშო შვილნი არიან 1864—1865 წლებში დაარსებულ „საურთიერთო ნდობის კოოპერაციისა“ გენიალურ ეკონომისტის და საზოგადო მოღვაწის ლ. ლუცატის მიერ. ამ უკანასკნელმა, შულცე-დელიჩის ტიპის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი გააფართოვა, გაასაზოგადოებრივა, უკეთ რომ ვთქვათ, გაადემოკრატა. იგი გარდაქმნა ხელმისაწვდომ და სასარგებლო დაწესებულებად არა მარტო მსხვილ მრეწველ მწარმოებელთათვის, არამედ სოფლის მეურნეთათვის, წვრილ-მესაკუთრე გლეხთათვის და ხელოსან-მუშებისათვისაც კი. ლუცატის მიერ შექმნილი საკოოპერაციო საზოგადოებანი საფუძვლად დაედო სხვა სახელმწიფოების კოოპერატივებსაც. მაგალითად, საფრანგეთში, ქალაქ მონტონში არსებული სახალხო ბანკი, იტალიაში არსებულ ამგვარივე ბანკების ასლს წარმოადგენს. რუმინიასა და იაპონიაშიაც მიჰბაძეს იტალიის მაგალითს. იტალიის სახალხო ბანკების სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღლა სდგას, არა მარტო ეკონომიურად, არამედ ზნეობრივადაც. ეს დაწესებულებანი არსებობენ რამკაცრ ნეიტრალურ ნიადაგზე, დაშორებული ყოველგვარ პოლიტიკურ და პარტიულ ზეგავლენას, გაცილებით მეტს ლტოლვილებას იჩენენ საერთო კეთილ მდგომარეობისათვის, და განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობისათვის, ვიდრე მისივე თანამოძმე გერმანიის დაწესებულებანი. იტალიის სახალხო ბანკებმა მარტო 1908 წელს საქველმოქმედო მიზნებისათვის გადასდვეს მოგებიდან 538,438 ლირა (ლირა 38 კაპ.), ამავე დროს გერმანიის ბანკებმა გაიღეს მხოლოდ 150,000 ლირა. ყველა სახალხო ბანკები იტალიისა ირიცხება ერთ დიდ კავშირში, რომლის თავმჯდომარეთაც ითვლება ლ. ლუცატი. ამ კავშირს აქვს რომში თავისი საკუთარი ყოველ „კვირეული ორგანო“ Credite Cooperatione.

1908 წლის დამლევს იტალიაში ითვლებოდა სულ 736 სახალხო ბანკი. ანკეტაში კი მონაწილეობა მიიღო 690 ბანკმა და ოფიციალურ შეკითხვას უპასუხა.

ბანკების თვალსაჩინო ზრდა შემდეგი მაგალითიდანაცა სჩანს: 1870 წელს ყოფილა სულ 60 ბანკი, ხოლო 1880—140.

სახალხო ბანკების უმეტესი რიცხვი მოდის იტალიის შემდეგ პროვინციებზე: კამპანიაში, ლომბარდიაში, ვენეციაში, ემილიასა და მარხიაში. თითო ბანკი საშუალო რიცხვით 46,562 მცხოვრებზე მოდის, ხოლო მარხის პროვინციაში ერთი ბანკი—17,531 სულზე.

იტალიის სახალხო ბანკების ერთს უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს სოფლად განყოფილებათა და სააგენტო დაწესებულებათა დაარსება. 690 ბანკს 1908 წელს 480 განყოფილება ჰქონია და ამ უკანასკნელთა რიცხვი ძლიერ თვალსაჩინოდ იზრდება. მაგალითად, ბანკების რიცხვმა 1898 წლიდან 1908 წლამდე 96 იმატა, 594-დან 690-მდე ავიდა, ხოლო განყოფილებები ამავე ათი წლის განმავლობაში 186 დან 480-მდე ავიდა.

690 სახ. ბანკს იტალიაში ჰყავდა 1908 წ. 501,022 წევრი, ე. ი. საშუალო რიცხვით თითო ბანკზე მოდის 726 წევრი. ამავე დროს გერმანიის 1,022 შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათ ჰყავდათ 627,192 წევრი, ე. ი 614 წევრი თვითეულ ამხანაგობას. ყველაზე უდიდეს კოოპერატივად იტალიაში ითვლება ქ. მილანის სახალხო ბანკი, რომელსაც ჰყავს 24,774 წევრი.

იტალიის სახალხო ბანკებს წმინდა კოოპერატიული სული განსაკუთრებით წევრთა შედგენილობაში, ემჩნევა. უმრავლესობას შეადგენენ წვრილი მესაკუთრენი, ღარიბნი და ხელმოკლენი. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში 1,500 სასოფლო ამხანაგობანი ითვლება, გლეხთა უმრავლესი ნაწილი მაინც ამ სახალხო ბანკთა წევრებადაც ითვლება.

საერთო 501,022 წევრთა რიცხვიდან ითვლებიან: წვრილი-მესაკუთრე გლეხები 109,704, ღარიბნი (ბოგანონი) 23,965, ხელოსანნი, წვრილი მოვაჭრენი და მწარმოებელნი 116,115, ქალაქის მუშები 41,559, ხოლო მოხელენი, მოსამსახურენი, მასწავლებელნი და საერთოდ თავისუფალ პროფესიის მიმდევარნი— 83,487.

ეს საერთო რიცხვი ცალ-ცალკე პროფესიის ჯგუფებად რომ დავყოთ

სცენის ხელოვნების დაუძლურებას და სისუსტეს მხოლოდ ქართულ თეატრის მსახიობთ აბვევენ თავს, მათ უვიცობას და გაუნათლებლობას. უბედური მსახიობი დაბალ ლობეთ გაუხდიათ, რომელზედაც ხშირად ტალახიან ფეხსაც კი ზედ აბოტებენ.

გვეყო, ბატონებო, გვეყო! ჩვენი მოკლე ჭკუის აზრიც მოისმინეთ და იქნება დაგვეთანხმებით, რომ უდიდესი ცოდო ჩვენი ხელოვნების ჩამორჩენისა სხვას უფრო ედება კისრად. გადაავლეთ ყველა ჟურნალ-გაზეთებს თვალი და დარწმუნდებით, რომ არც ერთი მათგანი, რომელნიც კისრულობენ ჩვენი თეატრის, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, ხელოვნების ზედამხედველობას, ვითომ-და მის გაუმჯობესებას, სერიოზულად არ მოჰკიდებიან ამ საგანს, არ ჩაუხედნიათ ამ ავადმყოფობის საძირკველში, არ გამოუკვლევიათ მიუდგომლად, ობიექტიურად მისი მთავარი მიზეზი და მიუმართავთ ყველაზე უფრო ადვილ საშუალებისათვის: მსახიობთა და მათ მეთაურთა გაკიცხვისათვის.

მოვალეთა ვსთვლი ჩემს თავს აღვიარო, რომ ამ წერილით პირადათ კერძოთ არავის ვეხები. მე მსურს მხოლოდ, რაოდენადაც შევიძლებ, ჩემი მცირე წვლილიც შევიტანო, წარმოვსთქვა ჩემი აზრი ამ კითხვის შესახებ. ბოდიშს ვიხდი, რომ ცოტა შორიდან ვიწყობ. ამასთანავე იძულებული ვარ მხოლოდ სხემატიურ ფარგალში მოვამწყვდიო ჩემი აზრი, რადგანაც ამ კითხვის გამოსაკვლევად მრავალი და უფრო დასაბუთებულიანი მრავალი რამ ითქმის.

ამ ოცდა თხუთმეტი წლის წინად ჩვენი სცენა, როგორც ახლად დაბადებული ბავშვი, არტახებით იყო შეკრული. არც მაშინ გვყვანდნენ დიდად განათლებულნი და განვითარებულნი მსახიობნი, მაგრამ ჩვენი სცენა წარმოადგენდა მშვენიერ თაიგულს, რომელშიაც ბრწყინავდნენ ისეთი მსახიობნი როგორიც არიან: მ. საფაროვი-აბაშიძისა, საყვარელი ვასო აბაშიძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი და განსვენებული ნ. გაბუნია-ცაგარლისა. წარმოდგენებიც მწყობრად, ხელოვნურად იდგმებოდნენ და საზოგადოებაც კმაყოფილი იყო და ხელსაც უწყობდა. ვიცი მიპასუხებთ: „ეხლანდელი ხანა, ეხლანდელი დრო სულ სხვას, განსხვავებულს მოითხოვსო და ამიტომაც საზოგადოებაც ვერ კმაყოფილდება ეხლანდელი დასით, ეხლანდელი წარმოდგენებითაო. იმ დროსაო, იტყვით თქვენ, საზოგადოებაც იმ წერტილზედვე იდგა, რომელზედაც მსახიობნი იყვნენო და ამიტომაც ესმოდათ ერთმანეთისო. ეხლა-კი საზოგადოება დაწინაურდა და მსახიობი-კი იმავე წერტილზე დგასო". გეთანხმებით, რომ საზოგადოება დაწინაურდა, მაგრამ როგორ, რითი? აი, აქ შევჩერდეთ. რას ნიშნავს: ეხლანდელი ხანა, ეხლანდელი დრო? ნუ თუ იმას, რომ ხანამ, დრომ შეჰქმნა უკეთესი გემოვნება, კულტურა? ამაში ვერ დაგეთანხმებით, ეს შეცდომაა. დრო, როგორც აბსტრაქტიული წარმოდგენა, ვერაფერს შეჰქმნის, ვერაფერს გააფართოვებს. მაშ რა, ან ვინ არის რომ შემოაქვს გაუმჯობესება, წინ სვლა? ხალხი, ერი. თვით ადამიანშია დაბუდებული ბუნებრივი კანონი წინსვლელიანობისა და არა დროებაში. ერი, რომელშიაც იღვიძებს თვითცნობილობის სურვილი, კულტურული წყურვილი, უფრო ადრე ეღირსება ხოლმე ცივილიზაციის წმინდა ზიარების მიღებას. რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს წყურვილი? რასაკვირველია, არა მარტო იმაში, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ მალე დაამთავროს, ვითომდა უმაღლესი სასწავლებელი, უნივერსიტეტი, რომელიც მხოლოდ ვიწრო პროფესიანულ ფარგალში აყენებს მათ, არამედ იმაში, რომ მოვამზადოთ ყოველმხრივ განათლებული შთამომავლობა და არა მოხელენი. აი, მაშინ გამოჩნდებიან მათ შორის ნამდვილნი მწერალნი, მხატვარნი, კრიტიკოსნი, მსახიობნი და სხვა.

დავივიწყოთ ერის წუთს ჩვენი ცრუ ეროვნული თავმოყვარეობა, წვრილმანი პატრიოტიზმი და გულზე ხელ-დადებით აღვიაროთ სიმართლე. სადა გვყვანან ჩვენ, ქართველებს, ყველა ისინი, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, ეს უდიდესნი ძალანი, რომელთაც უნდა მიჰყავდეთ ერი გაფართოვების გზაზე? ერთზე მაინც მიმითითეთ, რომელსაც რამე შეეტანოს მსოფლიო განათლების ყულაბაში, როგორც ამას ვხედავთ სხვა ტომის ხალხში. გულის კვნესით, სისხლის ცრემლით უნდა ვსდუმდეთ და შურით შევსცქეროდეთ ჩვენზე უფრო ბედნიერებს.

მიბაძვაც რომ არ ძალგვიძს! ჩვენ დაგვამახინჯა და დაგვამონავა დილეტანტიზმა ყველა საქმეში. სამწუხაროდ უფრო ხაზ-გასმული დილეტანტიზმი ეტყობა ჩვენს დრამატიულ მწერლობას და ხელოვნების კრიტიკას, რომლითაც უნდა იკვებებოდეს და იზრდებოდეს ჩვენი, როგორც თქვენ უწოდებთ, არა განვითარებული მსახიობი. გაახილეთ თვალი და დაინახეთ ვინ არის ჩვენი მასწავლებელი, აღმზრდელი. მრავალი მაგალითის მოყვანა შემეძლო, მაგრამ მე მხოლოდ ერთზე მიგითითებთ. შარშან ერთ-ერთ ჩვენ გაზეთში მოთავსებული იყო რეცენზია, რომელშიაც არჩევდნენ კომედია „გუვერნიორ"-ს და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა წავიკითხე, რომ ეს თხზულება ეკუთვნისო, ამბობდა კრიტიკოსი, ფონვიზინსაო! ამაზე უმეტესი უვიცობაღა შეიძლება?! და ამის შემდეგ ჩვენვე გვაკიცხებს საზოგადოებაც და კრიტიკაც? ღმერთს შეხედეთ და ღამის წყვდიადში უჩუმრად დაეკითხეთ თქვენ საკუთარ თავს: ჩვენი ბრალია, თუ მათი ვინც ასე თამამად კისრულობს ჩვენი მასწავლებლის როლს?

მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

# პატარა ფელეტონი

## ღ ა მ ე ა...

* * *

ღამეა...

ლოცვით მოქანცულს მთვარეს ისე სძინავს ღრუბელთ-საბანში, ვით ჩემს სატრფოს ჩემს საწოლზე.

აი უკანასკნელ ვარსკვლავმაც კი დახუჭა თვალი.

ცის პირმშო ნამი ყვავილებს კიდემით ჩაჰკვრია და სთვლემს.

ღრმა ძილში მყოფი ზღვა ისე არხევს ჰავლს, ისე სუნთქავს, ვით შავებ-ჩაცმულ ჰაეროვან ქალის გულ-მკერდი.

ყომრალი ნისლი გარღვეულა, დაქსაქსულა და მდინარის ნაპირებზე გაბნეულა მოსასვენებლად.

მთის ლაზღანდარა ნიავი ტანთ-გაუხდელათვე მიწვა ხასხას მდელოზე და გაინაბა...

ღამეა... ღამე!

ვზივარ ჩემს სარკმელთან და ვკითხულობ ჩემი მეგობრის წერილს.

ოჰ, რა მომხიბლავია თავის ღრმა კავშირით ეს წერილი.

მიყვარს, რადგან სულია ჩემი სულისა. ჩემი სულის ნაწყვეტია...

აი, ის სტრიქონები სადაც თავის სიცოცხლის დამღრღნელ მარტოობას მწერს.

დაუგდეთ ყური:

...„იცი, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება, საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა, და, ვით სიკვდილით დასასჯელი სადრჩობელას წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს...

საშინელებაა!

აშკარადა ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას, ჩემს არარაობას...

მე დღეს, შესაძლებელია, ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადავუხსნა კიდეც წუთის გავლენის ქვეშ... და მაინც... მარტო ვარ, მარტო...

ახსენი, მეგობარო, ეს მდგომარეობა..

ოჰ, ჩემი მოხეტიალე სული სიყვარულს თუ წააწყდება სადმე, თორემ ერთ დადინჯებულ ფიქრ-ქვეშ სიყვარულს ვერ შეჰქმნის...

...ინც მე ვერაფერი გამიგია, ამ ჩემთის უცნაურ გრძნობის.

ჩემ სიყვარული შორეულის ტრფიალი არ არის და ვერც ახლოსა სწვდება მე...

და მგონია, არც კი მიყვარს ვინმე..

მარტო ვარ, მარტო...

არ შემიძლიან შევიყვარო სული უეცრად გამოჩენილი...

რა გაეწყობა?...

მარტო ვარ... მარტო...

. . . . .

ღამეა...

ლოცვით მოქანცულს მთვარეს ისე სძინავს ღრუბელთ-საბანში, ვით ჩემს სატრფოს ჩემს საწოლზე,

აი უკანასკნელ ვარსკვლავმაც კი დახუჭა თვალი.

ცის პირმშო ნამი კიდემით ჩაჰკვრია ყვავილებს და სთვლემს.

ღრმა ძილში მყოფი ზღვა, ისე არხევს ჰავლს, ისე სუნთქავს, ვით შავებ-ჩაცმულ ჰაეროვან ქალის გულ-მკერდი.

ყომრალი ნისლი გარღვეულა, დაქსაქსულა და მდინარის ნაპირებზე გაბნეულა დასასვენებლად.

მთის ლაზღანდარა ნიავი ტანთ-გაუხდელათვე მიწვა ხასხასა მდელოზე და გაინაბა...

ღამეა... ღამე...

ი. გრიშაშვილი.

# მცირე შენიშვნა

### ბ. მებუკეს.

გაზ. „მნათობი"-ს № 58 წავიკითხე ბ. მებუკეს წერილი, სადაც იგი სჩივის, რომ „ჩვენი ქართველი ბურჟები მუდამ მოსთქვამენ, მუდამ წუწუნებენ, რომ მათ არა აქვთ ქართულად ხმის ამოღების უფლება, არა აქვთ ქართული საზოგადოება, ქართული სკოლა..." და ხშირად „ვაი-ვაგლახით მოპოვებულ უფლებას" თითონვე ჰგმობენო. მაგალითად მოჰყავს ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც, ვითომ, წესდების ძალით უფლება აქვს ქართულს ენაზედ აწარმოვოს საქმეები, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ამ საზოგადოებაშიაც უკანასკნელ დროს დაუდგენიათ „ოქმები უცხო ენაზედ სწერონ"; ვფიქრე, ეს გოდება გულ-წრფელია, გამოწვეული მამულიშვილური წმინდა გრძნობებით მეთქი, მართალია, ამ შემთხვევაში ბ. მებუკეს დაეტყო უცოდინარობა ქარ. სას.-სამეურ. საზოგადოების წესდებისა, რომელშიაც ნათლად არის ნათქვამი, —რომ „საზოგადოების საქმის წარმოება და ანგარიში სწარმოობს რუსულ ენაზედ" *) (§ 33), მაგრამ რა ვუყოთ?! შეცდომა ვის არ მოუვა? და ბ. მებუკესა კარგი იქნებოდა, რომ წერილის მეორე ნაწილში (გაზ. მნათობი, № 59) უფრო ტენდენციოზური შეცდომები არ შეჰპაროდა და ცოტა არ იყოს, უცნაური მოსაზრებანი არ წამოეყენებინა ქარ. სას.-სამ. საზოგადოების მიერ მოწვეულ აგრონომებზე.

*) ეს ზამინისტროსაგან გამოცემულ ნორმალურ წესდების მოთხოვნილობაა.

ზედა პირად რომ შეხედოს მკითხველმა თითქოს ამ შემთხვევაშიაც გულის შემატკივრობა ალაპარაკებს, მაგრამ რით აიხსნება მისი სიცრუე, რომ ახლად მოწვეული აგრონომები „სპეციალისტები არიან მეტყეობისა და საქონლის მოვლა მოშენებისაო". შეცდომაში შეუყვანიხართ ვისმე, პატივცემულო მებუკე. მართალია, ერთი მათგანი—ბ-ნი ს. ორ-სამ თვეს სატყეო დაწესებულებაში მსახურებდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ მას თავის სპეციალობის შესაფერი სხვა სამუშაო ვერ ეშოვნა, და ეს კი მარტო იმის მაჩვენებელია, რომ უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში მეტყეობასაც სწავლობენ. ხომ არ ისურვებს ბ. მებუკე მათ გადასინჯვასა?!

შემდეგში ბ. მებუკე ახლად მოწვეულ აგრონომების ცოდნას კრიტიკას უწევს და ახირებულად გვიმტკიცებს მათ სრულ უვიცობას მებაღეობასა და მევენახეობაში. რადა სჩადის ბ. მებუკე ამას? მოყვრობით ქარ. სას.-სამეურ. საზოგადოებისადმი? მოყკრობით? თუ მოყვარეა მისი, რატომ წინადვე არ განუცხადა საბჭოს კრებას ან პირადად, ან წერილობით ეს საყურადღებო აზრი, თუ იგი საბუთიანი იყო? რად ავიწყდება მას ძველებური ქართული ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო" არსებითად კი მისი ამისთანა დასკვნა, მე მგონია, ნაადრევია, რადგანაც აგრონომები მხოლოდ ეხლა გავიდნენ სოფლად თავიანთ საპრაქტიკო მოქმედების გეგმის შესადგენად და გააკეთებენ რამეს თუ არა, ამას ახლო მომავალი დაგვიმტკიცებს.

ვერ დავეთანხმები ბ. მებუკის იმ აზრსაც, რომ „პეტროვკო-რაზუმოველთ" ქართლ-კახეთისთვის არამც თუ იალტელი ყოჩაღი „აგრონომი" ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოწაფე, ან საქარის პრაქტიკანტი ბევრად სჯობდეს"—იმიტომ, რომ ბ. მებუკეს არა აქვს ნათელი წარმოდგენა აგრონომიისა და საგრონომიულ დახმარებისა. ყველას თავისი ადგილი აქვს და ყველა თავის ალაგას არის გამოსადეგი, თუ, რასაკვირველია, გულ-ხელს არ დაიკრეფს. აბა რომელი ადამიანი დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ხალხის სენთან საბრძოლველად საკმარისია მარტო ფერშლების ყოლა, ან და საუცხოვო სასახლეებს, რკინის გზებს, ხიდებს და სხ. ჰქმნიან უბრალო ტეხნიკოსები და არა უმაღლეს სწავლა დამთავრებული ინჟინრები? ესევე აგრონომიაშიც. მე, რასაკვირველია, მხედველობაში არ ვიღებ იმ ორიოდე პირთ, რომელთაც თუმცა დაბალი სასწავლებელი აქვთ დასრულებული, მაგრამ დიდი ხნის და სერიოზული მუშაობით ცოდნა შეუძენიათ, მათ აზრს უნდა ვაფასებდეთ; მაგრამ, აბა, სასაცილო არ არის იმის მტკიცება, რომ „იმერეთის განადგურებული მევენახეობა საქარელმა ხელ დაკორძებულმა პრაქტიკანტებმა გამოაბრუნეს და არა უმაღლეს სამეურნეო ცოდნით აღჭურვილებმა"?! მართალია, ერთის შეხედვით ეგრე სჩანს, მაგრამ რად ავიწყდება ბ. მებუკეს ვინ იყო სტაროსელსკი, რომელმაც დროზედ შეამჩნია მევენახეობის დაღუპვის სიახლოვე, საფუძვლიანად შეისწავლა ვაზის ახალი სენი, მასთან საბრძოლველი ზომები, იმერეთის ნიადაგის თვისებები და მხოლოდ მის შემდეგ მან სწორედ რომ ხელებ დაკორძებულ მუშების საშუალობით იხსნა იმერეთის მევენახეობა დაღუპვისაგან.

როცა ამისთანა რჩევით გამოდის ბ. მებუკე, ვხედავ, მას არა აქვს გათვალისწინებული, რომ ქართლ-კახეთი თავისი ბუნებრივი და ეკონომიური პირობებით იმისთანა მრავალ ფეროვანია, რომ აქ პირველად საგრონომიო დახმარების მოსაწყობად საჭიროა აგრონომს ჰქონდეს ღრმა ძირითადი ცნობები ბუნების მეტყველობაში და ეკონომიაში, და ამისთვის კი თქვენი რჩეული „იალტელი აგრონომები" უფრო სუსტები არიან, ვიდრე უმაღლეს სამეურნეო სწავლა დამთავრებულები.

ცოტა მოთმინება იქონიეთ, ბ. მებუკე, და ჩქარა იმასაც მოესწრებით, რომ ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ახლად მოწვეულ აგრონომების თანამშრომლებლად დაგზავნის სოფლად იალტის, ტფილისის და სხვა საბაღოსნო სკოლა დამთავრებულ პირებსაც. ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია საბჭოს კრებაზედ.

მ. გ.

# წერილი ფოთიდან

ისე დღე არ გავა, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ქართული ენის დაცემაზე არ იყოს ლაპარაკი. უნდა აღვნიშნოთ ის მწარე სინამდვილე, რომ მართლაც ჩვენ, დიდმა უმრავლესობამ, ქართული, ჩვენი სამშობლო ენა ძალიან ცუდად ვიცით, მაგრამ ამ დანაშაულს არსებულ სასკოლო რეჟიმს ვაწერთ და ამით ვიმართლებთ თავს. მართლაც, თითქმის არც ერთ სასწავლებელში ქართულს სათანადო ადგილი არ უჭირავს. ქართული ენა, საზოგადოთ, როგორც ყველა გიმნაზიებში ჩვენში, ისე ადგილობრივშიაც ცუდ მდგომარეობაშია. აქაურ გიმნაზიელებს,—რომელთა დიდი უმრავლესობა ქართველებია,—როგორც ვაჟებს ისე ქალებს ერთი მთელი წინადადება არ შეუძლიათ წარმოსთქვან ქართულად, თუ შიგ რუსული არ ჩაურთეს, ეს მაშინ, როცა ქართულის მასწავლებელს, როგორც ერთში ისე მეორეში ენის კარგ მცოდნეთ სთვლიან. ბევრი ბევრი თითო კლასში, თითო-ოროლა მოწაფე აღმოჩნდეს ისეთი, რომ ქართულის გაეგებოდეს რამე, დანარჩენები კი გაკვეთილზე გარეშე მაყურებლებივით არიან. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ვაჟთა გიმნაზია, რომელშიაც ქართულის მასწავლებელი ენის ზედ-მიწევნით კარგი მცოდნეა და მოსწავლეებს კი ცოდნა ძალიან ცოტა აქვთ. აქ, უფროსი კლასების მოწაფეების დიდი უმრავლესობა—ქართულ გაკვეთილზე რუსულად მსჯელობს, ლიტერატურას რუსულად გადიან და წერითაც ქართულს რუსული ასოებითა სწერენ და, ნუ თუ ასე შეიძლება ენის შესწავლა?.. რა თქმა უნდა ამ გზით ქართული ენა ეცემა და დედა-ენა თანდათან გვეკარგება.

ჩვენდა სამწუხაროდ კმარა ისიც, რომ ჩვენ სკოლებში ქართულს უკანასკნელი ადგილი უჭირავს და იმითაც აღარ ვისარგებლოთ?.. ამ მოვლენას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება...

ნემეზიდა.

# ხმა გურიიდან

(ოზურგეთ-ხუფხის განზრახული გზა).

მეტად მწვავე კითხვა უნდა გადაიჭრას ამ მოკლე დროში გურიის დასავლეთ ნაწილისათვის. ეს მხარე, როგორც ვიცით, არის მეტად ოღრო-ჩოღრო, მდებარეობით დაბალი და ამიტომ მისვლა-მოსვლა თვით უახლოეს სოფლებთანაც ძლიერ გაძნელებულია. ბევრი შრომა-მეცადინეობა მიუძღვით კერძოდ ეგრედ წოდებულ „გურიანთლებს", მაგრამ არ იქნა და არ ეშველა ტლაპო ნიადაგს ქვებით ამოვსება. წითელი ტალახი გველეშაპივით ყლაპავს გლეხის მიერ გაჭირვებით მიტანილ ქვებს, და დღეს რომ გეგონებათ,—მოგვხედა ღმერთმა, გზა გაუკეთებიათო, ერთი წლის შემდეგ ის წინანდელივე სახით გამოიყურება. ამასთან სოფლის გზის მეთვალყურეებიც ვერ გამოდგნენ კარგი თაოსანნი. თვით სოფლებს ათასგვარ გადასახადებისა გამო, მეტადრე უკანასკნელ ხუთ-ექვს წლებში, გზის გაკეთებისათვის სად ეცალათ, და დროგამოშვებით მთავრობის მამასახლისები თუ გამოიწვევდნენ მათ სამუშაოდ, თორემ სოფლელნი უფრო კარგ დროშიაც ვერ იჩენენ სათანადო ფხასა და უნარს საზოგადო საქმის მოგვარებაში. ერთი კია, რომ ასეთი გამოწვევა ყოველთვის ძალდატანებითი იყო, და სხვა პირობებში სასიამოვნო და ფრიად სასარგებლო საქმეს ამ შემთხვევაში ბეგარის ხასიათი ეძლეოდა. მაგრამ ყველა ეს ხდებოდა დაბალ მოხელე-

შემდეგ პროცენტობრივ ნუსხას მივიღებთ: სოფლის მსხვილ-მესაკუთრეთა წილად მოვა 5,55 პროცენტი, წვრილ-მესაკუთრე გლეხებზე 21,90 პროც., ბოგანოებზე 4,78 პროც., მსხვილ მრეწველ-მწარმოებლებზე 3,49 პრ., ხელოსნებზე, და წვრილვაჭრებზე 23,18 პრ., ქალაქის მუშებზე 8,09 პრ., მოხელე-მოსამსახურეებზე, მასწავლებლებზე და სხვა თავისუფალ პროფესიის წარმომადგენლებზე 16,66 პრ., მცირე-წლოვანთა და გამოურკვეველ პროფესიის მქონებლებზე 8,81 პრ., დანარჩენი—7,33 პრ. ეკუთვნის მათ, ვისი კლასიური ფიზიონომიაც ჯერ გამორკვეული არ არის.

ამრიგად იტალიის სახალხო ბანკებში ერთმანეთს უახლოვდებიან სოფლის მეურნენი და მწარმოებელნი, რაიცა, სხვათა შორის, საშუალებას იძლევა უფრო თამამად და გაბედულად დაეხმარონ გლეხებს გრძელვადიან სესხის გაცემით.

სახ. ბანკების თანხა შესდგება პაის გადასახადებით, რაიცა ღირს 5-დან 100 ლირამდე. ბანკების უმრავლესობა უმჯობესადა სთვლის იაფფასიან პაის. არის ისეთი კოოპერატივებიც რომლებიც პაის ნაცვლად გადასახადს ახდევინებდა წევრებს დროგამოშვებით, შეღავათიანად. ხოლო ერთი ბანკი ნეაპოლში საწევრო გადასახადს მათის ჯამაგირებიდან იღებს 2% გამორიცხვით.

საერთო თანხა (პაი და სათადარიგო ფონდი) 690 სახალხო ბანკისა უდრიდა 155,664,387 ლირას. ამ ჯამიდან პაი შეადგენდნენ 98,310108 ლირას, სათადარიგო ფონდი 57,384,279 ლირას. სათადარიგო ფონდის სიდიდე მოწმობს ამ სახ. ბანკების კეთილ-წარმატებას.

ბანკების საქმეს წინ სწევს მრავალმხრივი ოპერაციები. შუათანა კლასი, რომელიც არავითარ აღებ-მიცემობას არ ეწევა, ამ ბანკებში ინახავს ფულს, როგორც შემნახველ კასაში, ვაჭარ-მწარმოებელთ აქვთ მიმდინარე ანგარიშები, საქველმოქმედო საზოგადოებანი, მუშათა არტელები ინახავენ აქ თავის ქონებას, ფასიან ქაღალდებს.

1908 წელში 690 ბანკში მიბარებული იყო 971,168,000 ლირია. საშუალო რიცხვით თითო ბანკზე მოდის 1,407,000 ლირა. ამავე დროს გერმანიის თითოეულ შემნახველ-კასაზე მოდიოდა მხოლოდ 1,036,000 მარკა (მარკა 48 კ.) უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში იტალიის სახალხო ბანკში მიბარებითი ოპერაციები ერთი სამად გამრავლდა და დღეს იგი თითქმის ერთ მილიარდს უდრის.

სახალხო ბანკების უმთავრეს ოპერაციად ითვლება სესხის გაცემა და თამასუქების განაღდება, მაგრამ ამას გარდა არსებობს ერთი მეტად ორიგინალური წესი, ეს წესი გახლავთ ფულის გასესხება პატიოსანი სიტყვის თავდებობით! ამ ახალ წესს უკვე 50 ბანკი მისდევს და გაცემული აქვს კიდეც 1,153,011 ლირია, და ამასთან აღსანიშნავია რომ 543 შემთხვევაში 109,115 ლირ. გასესხებულ თანხაში ბანკებს მსესხებლებისათვის სარგებელი არ გამოურთმევიათ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ ფართო მონაწილეობას იღებს ამ სახ. ბანკებში იტალიის სოფლის მეურნე; ეხლა მივუმატებთ, რომ 1907 წ. მათზე გაცემულ და განაღდებულ თამასუქების თანხა თითქმის ნახევარ მილიარდს უდრიდა... სოფლის მეურნეობა სახალხო ბანკებთან სხვაგვარ ოპერაციებსაც ეწევა, მაგალითად, აქვთ მიმდინარე ანგარიშები, ანაღდებენ თავდებიან თამასუქებს, ფასიან ქაღალდებს. ბანკი ჰირნახულ-სანოვაგესაც იგირავებს.

1908 წ. უძრავი ქონება ჰქონია სახალხო ბანკს 243 და მისი ღირებულება 16.212,078 ლირს უდრიდა.

თავის მოსამსახურეებზე ეს ბანკები უფრო მეტს მზრუნველობას იჩენენ, ვიდრე კერძო დაწესებულებანი. 1908 წელს 168 ბანკსა ჰქონდა 7,156,958 ლირა გადადებული მოსამსახურეთა საპენსიოდ და დასახმარებლად რაიმე უბედურ შემთხვევაში.

ყველა ბანკების საერთო მოგება 1908 წ. უდრიდა 62,860,941 ლირს. წმინდა მოგება ამ წლისა—13,679,929 ლირა—ამრიგად იქმნა განაწილებული: სათადარიგო ფონდს მიემატა წესდების ძალით 1,598,524 ლირა ანუ 11,69 პროც., განსაკუთრებულ ფონდს განსაკუთრებულის მიზნებისათვის—1,518,458 ლირა, ანუ 11,09 პროც., წევრთ 8,197,565 ლირა, ანუ 3,88 პროც., მმართველობის წევრთა განკარგულებაში 1,219,699 ლირა, ანუ 8,92 პროც., საქველ-მოქმედოთ 548,438 ლირა, ანუ 4,01 პროც. და სხვა და სხვა მიზნებისათვის 65,469 ლირა, ანუ 0,48 პროც.

ზემომოყვანილ ციფრების შედარება 1898 წ. მოგების განაწილებასთან ჰმოწმობს სახალხო ბანკების კოოპერატიულ სულის ამაღლებას. თვალსაჩინოდ იმატა აგრეთვე სათადარიგო ფონდისთვის გადადებულმა ნაწილმა, რაიცა ახლო მომავალში შესაძლებლად გახდის ხელი მიჰყონ პაის გამოყიდვას.

აღსანიშნავია აგრეთვე სახ. ბანკების მოქმედება სხვა სახისსა კოოპერაციო დაწესებულებათა სასარგებლოდ და ქველმოქმედების ნიადაგი. 1908 წელს 312 სახ. ბანკს ჰქონია სხვა და სხვა კოოპერატივთა პაი 3,233,460 ლირისა. ეს მოწმობს მათს ფართო საფინანსო დახმარებას სხვა საკოოპერაციო დაწესებულებაშიაც. აგრეთვე არსებობს 427 კოოპერატივი სახ. ბანკის დახმარებით დაარსებულნი. მათში 152—შემნახველ-გამსესხებელია, 99 სასოფლო-სამეურნეო, 25—ქალაქის ნაწარმოებთათვის და 151—შერეული კოოპერატივები.

ჯაფარ-ფაშა.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების გამგეობით. მიმოსვლა ძლიერ გახშირდა მოძრაობის დროს, როდესაც საჭირო იყო პოლიტიკურ დამნაშავეთა თუ ყაჩაღების შესაპყრობად ფიცხელი ზომების მიღება. აი, აქედან წარმოსდგა ის უცნაური მოვლენა, რომ მთავრობის მამასახლისები თითქო გზის გაკეთებისათვის ზრუნავდნენ და ხალხსაც აქეთკენ მოუწოდებდნენ. მაგრამ ამ ზომებმაც საქმეს ვერ უშველა.

ამ ბოლო დროს თვით უმაღლესმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება სოფლელთა უმწეო მდგომარეობას და ერთ-ერთი გზის, რომელიც ოზურგეთს სუფსის სადგურს უერთებს, სახაზინოდ ჩარიცხვას აპირებს. ეს განზრახვა ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი, მაგრამ დიდი იმედი კი აქვთ ბ-ნ გუბერნატორის დაპირებისა, რომელსაც ივნისის რიცხვებში შემთხვევით მიქელ-გაბრიელის საზოგადოებაში იყო.

ბ-ნ გუბერნატორს შეკითხვის შემდეგ, რა გაკლიათ, როგორ ცხოვრობთო,—მღვდ. რ. მეგრელიძე მოკლედ მოახსენებს მას: „ჩვენ ყველაფრიდან უზრუნველყოფილი ვართ, მხოლოდ უგზოობა გვაწუხებსო". როგორც ამბობენ, გუბერნატორიც შეჰპირდა მათ, რომ გამოვგზავნი ინჟინერს, გაჰსინჯნავს განზრახულ გზის სივრცეს და გაიგებს მიდამოს მდებარეობაათ.

მიქელ-გაბრიელის საზოგადოება სძევს ნატანების სადგურის მახლობლად და თან გურიის მესაზღვრე საზოგადოებაცაა დასავლეთის მხრით. მის ზევით არის ხვარბეთი, რომელიც სძევს ოზურგეთ-ნატანების შუა გზის პირდაპირ, სულ ზევით კი ვხედავთ კახურის საზოგადოებას, რომელიც თავის აღმოსავლეთი ნაწილით აკრავს ოზურგეთს. ეს სამი საზოგადოება ერთად შეადგენს ეგრედ წოდებულ „გურიანთას". უკანასკნელი სიმინდის საუკეთესო მოსავალს იძლევა მთელს გურიაში. მაგრამ უგზოობისა გამო ეს კუთხე დღემდე ვერ ამოსულა იმ ვაგლახ მდგომარეობიდან, რომელსაც გურიის დანარჩენ საზოგადოებებმა თითქო თავი დააღწიეს; უგზოობა ძლიერ მავნე მტერია გურიანთის ეკონომიურ—კულტურული წარმატებისა. დანარჩენი საზოგადოებები სკოლებით აივსო, გზები გაიყვანეს და გურიანთა კი განაგრძობს ისევ ძველებურ მდგომარეობაში ყოფნას. კახურის და ხვარბეთის საზოგადოების ვეებერთელა სივრცეზე თავისი მრავალ-რიცხოვანი მცხოვრებლებით თითო ოროლ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი ძლივსღა არსებობს მაშინ, როდესაც მეზობელ საზოგადოებებში სკოლების რიცხვი შვიდამდე ადის. ამ მხრით გამონაკლისს შეადგენს მიქელ-გაბრიელის საზოგადოება, და ეს უნდა მივაწეროთ იმ გარემოებას, რომ მთავრობა სკოლების გახსნის საკითხში უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობა სახელმწიფო დაწესებულებათა ახლო მდებარე საზოგადოებებს. სწორედ ამ მოსაზრებამ შეუწყო ხელი ნატანების სადგურზე სამინისტრო სკოლის გახსნას.

როგორც დავინახეთ მიქელ-გაბრიელი დანარჩენ ორ საზოგადოებაში კულტურულად მაღლა სდგას. მართალია უგზოობა მასაც აწუხებს, მაგრამ მარტო ამისათვის მიქელ-გაბრიელში ოზურგეთ-სუფსის შემაერთებელი გზის გაყვანა ხომ აშკარა უსამართლობა იქნებოდა! როგორც მთავრობა, ისე ხალხიც უნდა სცდილობდეს განზრახულ გზამ რაც შეიძლება მეტი სასოფლო კუთხეები შეაერთოს. მიქელ-გაბრიელი კენტად სდგას გურიის დასავლეთ საზღვარზე და იქ გაყვანილი გზა გარდა თავის ნაწილებისა სხვა სოფლებს ვერ შეიერთებს. ხვარბეთ — კახურისათვის ხელსაყრელია მეორე გზა, რომელიც ხსენებულ საზოგადოებებს შუაზე გადაჰსჭრის. ამ გზასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ლიხაურისა, შემოქმედისა, დაუბზუს, ასკანის და ბახვის საზოგადოებათა სამეურნეო თუ სააღებ-მიცემო ინტერესებიც. სახნავსათეს ადგილების ნაკლებობისა გამო ჩამოთვლილ საზოგადოებებიდან უკანასკნელ ხანებში ხშირად გადიან სამუშაოდ სადგურ სუფსის ქვევით ფოთისაკენ მდებარე გურიელების ადგილებში. იმავ ადგილების სიმცირე მათ აიძულებს მეურნეობის სხვა დარგს მოჰკიდონ ხელი. ასეთ დარგად ჩაითვლება: მეღვინეობა, თხილისა და კაკლის ხის მოშენება, ხეხილების სხვა და სავაჯიშის დარგვა-დამყნობა და სხვა... ყველა ეს ნაწარმოები უბაზროდ გლეხისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. შეიძლება იფიქროთ,— ოზურგეთი არის გურიის საბაზრო ცენტრი? არა. ის ვერ გახდა ღირსი ამ სახელწოდებისა, და სხვა უმნიშვნელო კუთხეებში უფრო ფართო საჯარო ვაჭრობა იმართება, ვინემ გურიის ცენტრ ოზურგეთში. ასეთია მაგ., ჩოხატაური და ლანჩხუთი.

ძმი.

(დასასრული იქნება)

# ბ-ნ თ. ღლონტის საპასუხოდ*)

19 ოქტომბერს 1911 წ. ბაქოს წ. კ. გ. საზ. განყოფილების გამგეობამ თავის მორიგ სხდომაზედ მსჯელობა იქონია „სახალხო გაზეთ"-ში მოთავსებულ ბ-ნ თ. ღლონტის წერილის „ბაქოს ქართველობის" შესახებ და დაადგინა: პასუხი გაეცეს ბ. ღლონტს მისი წერილის იმ უსამართლო ბრალდებაზე, რომელიც ეხება ადგილობრივ წ. კ. გ. ს. გამგეობის მოქმედებას, რისთვისაც გაეგზავნოს ხსენებულ გაზეთის რედაქციას დასაბეჭდად შემდეგი შინაარსის წერილი:

„ბ-ნი ღლონტი ეხება რა ადგილობრივ ქართველობის და კერძოდ წ. კ. გ. საზოგადოების საქმიანობას, დაცინვის კილოთი ბრძანებს: „რას უნდა მიეწეროს ის საკვირველი გარემოება, რომ ქალაქის თვით-მართველობამ ქართველების სკოლას ძვირფასი მიწა-ადგილი დაუთმო სრულიად უფასოდ საუკეთესო ადგილას, თუ არ ბაქოელ ქართველების დაუღალავს მუშაობას; განა ეროვნულ გრძნობათა სიცხოველეს არ მოასწავებს როცა ბ. მანსვეტაშვილი ათას მანეთობით სძირკველს უყრის ქართულ ან-ბანის ტაძარს; განა სამშობლოსადმი და მამულისადმი ღრმა სიყვარულით არ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თ-დ დადიანი თავის ოჯახობით მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართულ ტრადიციონურ „სანინოო" (Sic) დღესასწაულის მოწყობაში?"—ჩვენთვის გაუგებარია რისი თქმა სურს ბ-ნ ღლონტს ამ ზემორე მოყვანილ ციტატაში, რა არის აქ დასაცინი და ან დასაძრახი. სულ ორი წელიწადია რაც წ. კ. საზოგადოების განყოფილება დაარსდა ბაქოში. ამ ხნის განმავლობაში წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას იმდენი უმეცადინია, რომ ძვირფასი ადგილი უფასოდ უშოვია (ამას თვით ბ. ღლონტიც ადასტურებს), ქართულ კულტურულ დაწესებულებათათვის ძვირფას შენობის საძირკველი ჩაუყრია, დაუმატოთ ამას ეროვნული სკოლა, სადაც ამ ჟამად 80-მდე ორთავე სქესის მოწაფე უფასოდ სწავლობს და რომელიც ხეტად მკვიდრ ნიადაგზე არის დაყენებული, როგორც ამას მთავარ გამგეობის წევრი—რევიზორი ბ. ლ. ბოცვაძე ჰმოწმობს. უსახსროდ დაწყებული საქმე გამგეობას თავისი დაუღალავის მეცადინეობით და ქართველ საზოგადოების დახმარებით იმდენად გაუფართოვებია, რომ მისი წლიური ბიუჯეტი 7,000 მანეთამდე აუყვანია და განა ყოველივე ეს „ფუქსავატობის" ნიშანია და „რეალურ ფიქციის" (Sic) დამამტკიცებელია?! „ბაქოს წ. კ. გ. საზოგადოება—ეს რეალური ფიქციაა"-ო ბრძანებს ბ. ღლონტი. ეს ორ სართულიანი ტერმინი ამ შემთხვევაში ყოვლად გაუგებარია ჩვენთვის. რანაირად შეიძლება ფიქცია ეწოდოს იმ საზოგადოებას, რომელიც იურიდიულად არსებობს, ფაქტიურადაც, როგორც ეს ზევითაც დავინახეთ, არსებობს და ჰმოქმედობს, 200 ნამდვილი წევრი ჰყავს, ყოველ წლივ თავის მოქმედების ანგარიშებსაც ჰბეჭდავს, აქვს საკუთარი რაციონალურად მოწყობილი სკოლა, ძვირფასი ინვენტარი და სხვა... ამაზე სამართლიანი პასუხი დაე თვით რედაქციამ და მისმა თანამშრომელმა აგოს.

„არც იქ არსებული—ბრძანებს ბ. ღლონტი—ქართული სამკითხველოა ჰეშმარიტება, სადაც საჭიროების მიხედვით შეგეძლოს ქართულ ჟურნალ-გაზეთების გადათვალიერება"-ო. ნეტავი სად ამოიკითხა ბ. ღლონტმა, რომ ქართულ სკოლებთან სამკითხველოც არსებობსო? მას რომ ესაყვედურნა გამგეობისთვის სამკითხველო რად არ არსებობსო—ეს გასაგები იქნებოდა და პასუხსაც გავცემდით, მაგრამ მან თავისი ფანტაზიით შეთხზა თითქოს ჩვენ სამკითხველო გვქონდეს, ხოლო იქ კი ჟურნალ-გაზეთობა არ მოიპოვებოდეს. აღნიშნული ფაქტი მტკნარი სიცრუეა და არც არის პასუხის ღირსი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც საჭიროდ ვრაცხთ, ვაუწყოთ მკითხველ საზოგადოებას, რომ თუ დღემდე გამგეობამ ქართული სამკითხველო ვერ დაარსა, ეს მხოლოდ საჭირო ბინის უქონლობისა გამო. ამ ჟამად ნაქირავები სკოლის შენობა სკოლას ძლივს იტევს, ხოლო ცალკე ბინის დაქირავება სამკითხველოსათვის დღეს-დღეობით მეტად ძვირად დაგვიჯდებოდა. ამიტომაც სამკითხველოს გახსნის საკითხი გადადებულია საკუთარ შენობის დამთავრებამდე. ხოლო სკოლასთან არსებობს საბავშვო ბიბლიოთეკა, საიდანაც კიდევაც სარგებლობენ საჭიროების-დაგვარად.

ამასთანავე გამგეობას არ შეუძლიან გულის წყრომით არ აღნიშნოს ის გარემოება, რომ ბ. ღლონტი უდიერად იხსენიებს თ-დ დადიანის ოჯახობის მიერ მუდმივ მართლაც დაუღალავ შრომას ყოველ-გვარ ქართულ საქმეებში და განსაკუთრებით კი ქართულ ტრადიციონურ ნაციონალურ სალამოების გამართვაში. მით უმეტეს, რომ ეს სალამოები ჯერ იყო და წ.-კ. გ. ს. მთავარ გამგეობას კარგა ბლომა თანხას აწვდიდა, ხოლო ამ ხანად კი ადგილობრივ განყოფილების უმთავრესს წყაროს შეადგენს. ამასთანავე ვერ გაგვიგია, თუ რა უნდა ჰქონდეს ბ. ღლონტს, თვინიერ უღრმესის მადლობისა, ბ-ნ ი. ა. მანსვეტაშვილისადმი, რომელმაც არ დაიშურა თვისი წვლილი და სამუდამო საძირკველი ჩაუყარა „ქართულ ან-ბანის ტაძარს"? ვერ გაგვიგია აგრეთვე, რისი თქმა სურდა ბ. ღლონტს, როდესაც ამ ორს ყოვლად პატივცემულ პირთ ბ. ჯინორიძის პიროვნება და მისი „სალიტერატურო მოღვაწეობა" დაუპირდაპირა?! ბ-მა ღლონტმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ბ. ჯინორიძეს და მის გაზეთებს არავითარი კავშირი არც წარსულში და არც ეხლა არ ჰქონია და არც აქვს ქართულ ეროვნულ დაწესებულებებთან და ამგვარი უკადრისი საქციელი არ უნდა ენებებია მას.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ პატივცემულ „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციამ ბ. ღლონტის წერილებს არავითარი სარედაქციო შენიშვნები არ გაუკეთა, მაშინ, როდესაც ყოველივე ზემოდ თქმული მასაც კარგად მოეხსენებოდა. პატივცემულ რედაქციას ბ. ღლონტის გარდა ბაქოში სხვა თანამშრომლებიცა ჰყავს, რომელთა წერილები იმ საგნის შესახებ არა ერთხელ მოუთავსებია თავის გაზეთის ფურცლებზე და გვიკვირს, რად დასჭირდა რედაქციას ამ უკანასკნელთა მიერ მოწვდილ ცნობათა გაბათილება და ბ. ღლონტის ყოვლად საეჭვო ცნობებზე დამყარება.

წ.-კით. გ. საზ. ბაქოს განყოფილების მდივანი ვ. აბულაძიანი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ ამასთანავე ერთად ხაჭიროდ მიგვაჩნია ზედ დაურთოთ შემდეგი განმარტება. როდესაც რედაქცია ბ-ნი თ. ღლონტის წერილს ჰბეჭდავდა, სრულიადაც არ ჰქონია აზრად იმათ ვისმეთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა ან გაეპარწყლებინა და დაემცირებინა ღვაწლი კერძო პირთა, რომელთაც დიდი ამაგი მიუძღვით ბაქოს ქართველ საზოგადოებისადმი. ჩვენ გვგონია, რომ არც თვით ბ. თევ. ღლონტს ექნებოდა ასეთი განზრახვა. ერთად-ერთი აზრი ბ-ნი ღლონტის წერილისა, როგორც ჩვენა გვგონია, ის არის, რომ აღენიშნა საერთო გულგრილობა ბაქოს ქართველებისა. მიუხედავად კერძო პირთა დიდი შრომისა, ადვილად შესაძლებელია, საზოგადო მდგომარეობა ბაქოს ქართველებისა დამაკმაყოფილებელი არ იყოს. ამ საგნის შესახებ სხვა და სხვანაირი აზრი შეიძლება არსებობდეს. იქნება ბ-ნ თ. ღლონტის წერილი სიმართლეს არ შეიცავს? ადვილად შესაძლებელია ეს ასეც იყოს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს მას ვისიმე დამცირება სდომებოდეს. მით უფრო არ შეიძლება ეს ითქვას რედაქციაზე, რომელსაც, როგორც თვით წერილიდანაც სჩანს, არა ერთხელ აღუნიშნავს ბაქოს ქართველების მოღვაწეობა.
რედაქცია.

# ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

1 ნოემბერი

**ქელნი.** „კელნიშე ცაიტუნგში" ბერლინიდან მოსული ოფიციალური ცნობაა დაბეჭდილი. იგი უარჰყოფს იაპონიის მიერ გავრცელებულ ამბავს, ვითომც გერმანია ჩინეთის საქმეებში ჩარევას აპირებდეს.

**შანხაი.** გუდინფანი პრინც-რეგენტს ურჩევს, რეგენტობას თავი დაანებე, ხელი შეუწყე ქვეყნის მმართველობის გარდაქმნას და უსარგებლო ომი მოსპეო. კანტონი რესპუბლიკის პრეზიდენტად უიანქუნი გამოაცხადეს. ამბობენ, გირინმა და ნიუჩუნმა დამოუკიდებლობა გამოაცხადესო. სვატოუ, ჩჟანჩუოუ და ნინჩანი რევოლუციონერების ხელშია. რევოლუციონერებს ფული და სურსათი აკლიათ. შანხაიში მოხალისეთა რაზმი შესდგა.

**მუკდენი.** მანჯურიის ავტონომია გამოაცხადეს. მუკდენსა, კირინსა და ციციკარში უფლება ფაქტიურად სათათბირო კომიტეტების ხელშია. სასტიკი ზომებია მიღებული პროვინციაში წესიერების დასაცავად. მუკდენს მოსულ ლიანციჩაოს თავმჯდომარეობით საკონსტიტუციო პარტიის დელეგატებს თათბირი ჰქონდათ, უსისხლოდ როგორმე ბოლო მოვუღოთ რევოლუციასო. ამბობენ, ლიანციჩაო მთავრობის სათავეში დადგებაო.

**ტოკიო.** იაპონიის პრესა თან და თან ჩინეთის საქმეებში ჩარევის მომხრეობას იჩენს. პროვინციათა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება საკმარისია, რომ ჩინეთი სახელმწიფოებმა გაიყონ. იაპონია იმდენს ჰკარგავს ამ არეულობის გამო, რომ პირველ შემთხვევისთანავე უნდა საქმეში ჩარევას აპირებს.

**პეკინი.** საკონსტიტუციო პალატის სხდომაზე ხუნის კომიტეტის დეპეშა წაიკითხეს. იგი პროტესტს აცხადებს 90 მილიონის სესხის გამო და დეპუტატებს ამ საქმის მოწოდებას აბრალებს. დაადგინეს, სესხის საკითხს ვარჩევთ, მაგრამ ჯერ არ დაგვიმტკიცებიაო. დამფუძნებელ კრების მოწვევის თაობაზე დაადგინეს, ეხლა ძალიან ძნელია ამ საქმის განხორციელებაო.

**ხანკოუ.** ჩრდილოეთის ჯარის 2 პოლკი რევოლუციონერებს შეუერთდა.

**პეკინი.** იუანშიკაი დათხოვნას დაჟინებით ითხოვდა, მაგრამ ეხლა უბრძანეს, უარს ნუღარ ამბობ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ასრულებას შეუდექიო. ვიცე-კოროლებსა და გუბერნატორებს შეატყობინეს, პროვინციებში დეპუტატები აირჩიონ მცხოვრებლებმა პეკინში სრულიად ჩინეთის ერობათა კრებისთვისაო. თურმე აჯანყებულ პროვინციაში კომისარები გაიგზავნა. მათ ხალხს მთავრობის სურვილი უნდა გააცნონ და დარიგება მისცენ.

**ლონდონი.** რეიტერი უარჰყოფს ამბავს, ვითომც ინგლისსა ჰსურდეს ჯარი შანხაიში გადაიყვანოს.

გაზეთებიდან.

ხარბინა.

მუკდენიდან იუწყებიან, კუანჩენძში ჯარმა განაცხადა, მუკდენს იმპერატორის დასაცავად არ წავალთო.

ლონდონი.

გონკონგში რესპუბლიკა გამოაცხადეს. ცზიანსუს პროვინციამ დამოუკიდებლად გამოაცხადა თავისი თავი.

ბრიუსელი.

ჩინეთიდან ამბავი მოვიდა, ბოგდიხანის მთავრობას სურვილი აქვს ევროპიელთა აკლება მოაწყოს და ასეთი პროვოკაციით სარევოლუციო მოძრაობაში უცხო სახელმწიფონი ჩაურიოსო.

ბერლინი.

შანხაიდან ხმა მოდის, რუსეთმა უარი უთხრა იაპონიას, რომელმაც წინადადება მისცა, მანჯურიაში აქტიური მოქმედება ერთად დავიწყოთო.

ლონდონი.

მალტიდან ამბავი მოდის, ტრიპოლიში ყოველ დღე-ღამ ბრძოლაა იტალიის ჯარსა და ოსმალ-არაბებს შორისო. მფრინავებს, დაზვერვის დროს, ქალაქის ახლო ოსმალთა დიდი ბანაკი შეუნიშნავთ. ოსმალთა არტილერია გაძლიერდა და ბევრი იარაღი მოემატა. ეტყობა, იარაღი ოსმალებს კონტრაბანდით მოსდით.

საუბარი მანჯურიის ვიცე-კოროლთან.

„რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტს მანჯურიის ვიცე-კოროლ ჩჟაოერსუნთან, ტახტის ერთგულ მოსამსახურესთან, საუბარი ჰქონია. უკითხავს, რა აზრისა ხართ ახლანდელ რევოლუციაზეო?

— რევოლუციის ლიკვიდაციას შესაძლებლად ვთვლი, მაგრამ ჯერ კი ადრეა ამისი თქმა. საპოლიტიკო მოძრაობის გარდა არსებობს ეროვნულიც, რომელიც გამოიწვია ცრუ აზრმა, მანჯურები ჩინელთა მტრები არიანო. ამ აზრთან ბრძოლა ძნელია, თუმცა ზოგიერთ რამეზე რევოლუციონერებთან შეთანხმება შესაძლებელია,—სთქვა მან.

კორესპონდენტს უკითხავს: რევოლუციონერების მიზანი რა არისო?

— ერთ ნაწილს რესპუბლიკა სურს, მეორეს—კონსტიტუციური მონარქია. მე კი ჩინეთი საიმისოდ მოუმზადებლად მიმაჩნია. საუკეთესოდ ახლა პარლამენტის მოწვევასა ვთვლი. ჯერ საკითხია, ახალი წესწყობილება, დააკმაყოფილებს და დაამშვიდებს თუ არა ქვეყანას? რევოლუციონერებში ხომ უთანხმოებაა. შეიძლება გაიყვნენ კიდეცა.

— იუანშიკაიზე რა აზრისა ხართ?

— მისი დიქტატურა მთავრობას ავნებს.

— მთავრობამ ბევრი სისხლი ღვარა, შესძლებს კი მის გადახდას?

— თუ რიგიანი მმართველები ეყოლება, შესძლებს.

საერთოდ მთავრობის პოლიტიკა კაცთმოყვარეობად მიაჩნია ვიცე-კოროლსა. მან სთქვა, იაპონელების მეგობრობა არა მწამს და ამიტომ უფრთხილდებით მათ ცნობებსაც. შემდეგ კორესპონდენტს მისი ძმის ამბავი უკითხავს, მართალია მისი მოკვლაო.

— ჩემი ძმა ცოცხალია. იგი თანამდებობიდან გადააყენეს.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

1 ნოემბერი.

**ტრიპოლი.** ნაღმ მიუკარებელი გემი „დარდო" კონტრაბანდის დასაზვერად იყო წასული, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა. ტუნისის საზღვართან „დარდო" ოსმალთა სიმაგრეებს ესროდა და რაზმი გააქცია. ბენგაზსა, დერნასა და ტობრუკში მდგომარეობა არ შეცვლილა. წვიმიანობა დაიწყო.

**სტამბოლი.** პორტას ამბავი მოუვიდა, იტალიის ესკადრა სამოსსა და ხიოსს შუა დასცურავსო რადგან კუნძულზე დაცემისა ეფიქრებათ, უცხოელთა გემებს დარდანელში უნებართვოდ არ უშვებენ.

გაზეთებიდან

ბერლინი

გაზეთებს ატყობინებენ, ტრიპოლისთან ახალი ბრძოლა მოხდა და არაბებმა ძველ პოზიციებზე გამაგრება შეახერხესო.

ვენა.

გაზ. „ცაიტის" ცნობით, ბერლინში მყოფმა იტალიის ელჩმა განაცხადი იტალია მზად არის ოსმალეთსა ფულით უზღოს ტრიპოლი კაპიტულაციების უარყოფას და ოსმალეთში მცხოვრებ იტალიელების მიერ გადასახადის ძლევასაც დასთანხმდესო.

სტამბოლი

ბეირუტის მცხოვრებთა საერთო დეპეშა მოვიდა. ისინი ამბობენ, იტალიელების წინააღმდეგ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო.

რომი.

სტამბოლიდან იუწყებიან, ოსმალეთის საზოგადოება ზავის ჩამოგდების წინააღმდეგია. უნდა ვიბრძოლოთ, თუნდა ეს დაღუპვად დაგვიჯდესო. რომელი სახელმწიფოც კი ტრიპოლისა და კირენაიკის ანექსიას აღიარებს, ბოიკოტს გამოუცხადებენ.

ბერლინი.

გაზეთები სწერენ, თუ ოსმალეთი ორი კვირის განმავლობაში ზავზე ლაპარაკს არ ჩამოაგდებს, იტალიის აზრადა აქვს კუნძულ ლემნოსის ანექსია გამოაცხადოს. ეს კუნძული დარდანელის ახლოა.

ვენა.

ხმა გავრცელდა იტალიის მთავრობამ ავსტრიას პირობა მისცა ომის დროს სალონიკს არას ავნებენო.

ლონდონი.

მალტიდან იუწყებიან, არაბებს იტალიელთა მიერ ჩადენილ სისასტიკის ამბის საპროტესტო ქაღალდზე ძალით მოაწერინეს ხელიო. იტალიელები მკვიდრთა სახლში დადიოდნენ და ხელს ძალად აწერინებდნენო.

ეხლა იუწყებიან, იტალიელებმა თავდასხმა და სიმაგრე ჰამიდიეს მიახლოვება ვერ მოახერხესო. იტალიელებს უკან დახევინეს და დიდად აზარალესო.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს

29 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ.

**ზაგრები.** მანდატების გამრჩეველ კომისიაში ოპოზიციის არჩევნების წინააღმდეგ პროტესტი წარმოადგინეს. დეპუტატმა დოკუგამმა განაცხადა, პროტესტი დეპეშით მომივიდა ორი ამომრჩევლისაგან და მეც მათი გვარი მოვაწერე, ისე შემოვიტანეო. სეიმის დათხოვნის შემდეგ დარტოვიჩს სიყალბის ბრალდება დააბრალეს. დღეს მას სამი თვის ციხე გადაუწყვიტეს. სასამართლოს წინაშე მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოხდა. მთავრობა ჯარის გაგზავნას ითხოვს.

**ბერლინი.** რამდენიმე ბანკირმა კომიტეტი შეადგინა რუსეთის მიერ ვარშავა-ვენის გზის გამოსყიდვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ტრიესტი.** 31 ოქტომბერს სატრანსპორტო ფირმების მებარგულნი გაიფიცნენ.

**მიუნხენი.** ლანდტაგი დაითხოვეს, რადგან გზათა მინისტრთან მოლაპარაკების უარი განაცხადა. მემარჯვენენი და მემარცხენენი დიდის სიხარულით შეხვდნენ დათხოვნის ამბავს.

**ბერლინი.** სტატს-სეკრეტარმა დელბრუკმა განაცხადა, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას კანონმდებელ დაწესებულებათა სანქცია არ ესაჭიროება. მაგრამ დიდი ფულის დახარჯვა სახაზინო საქმეებისათვის გამართლებს მოქმედებას, თუ შემდეგ ამ საქმეში კანონმდებელი დაწესებულებანი ჩაერევიანო.

**პარიზი.** საფრანგეთისა და გერმანიის სამთო-მადნე სინდიკატები მაროკოში ერთად მუშაობისათვის შეთანხმდნენ.

**კანეა.** ელჩებისათვის გაგზავნილი მემორანდუმი აცხადებს, ეხლა კარგი დროა კრიტეს საბერძნეთთან შესაერთებლად და სახელმწიფოთა სამართლიანობის იმედიც გვაქვსო.

**ვენა.** დეპუტატ მადიკოვსკი-ქოეგლის გამო დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ მეძლე პარტიის სახელით გულისწყრომა გამოუცხადა და დეპუტატებსაც მოუწოდებდა, პალატის ღირსება დაიცვათ პარლამენტარიზმის გულისთვისო. მადიკომ ბოდიში მოიხადა.

**ვენა.** ავტომობილში, რომელშიაც ჰერცოგ პარმის მეუღლე, მისი ორი ქალი და სასახლის ორი ხაზინადარი იჯდა, მატარებელი დაეჯახა. ხაზინადარნი მსუბუქად დაშავდნენ, ჰერცოგის მეუღლეს და ქალებს კი ტვინის შერყევა ეტყობათ.

**თეირანი.** შირვეთი ვეზირი და გარეშე საქმეთა მინისტრი სამსახურიდან გადადგნენ. ძნელი სთქმელია, შეადგენენ თუ არა ახალ კაბინეტს.

რუსეთი

**ოდესა.** შეიპყრეს სამი კაცი, იმ ბანდის წევრნი, რომელსაც საერთაშორისო ბანკის ვარშავის განყოფილებიდან ყალბი საბუთებით 14500 მანეთი უნდა მიეღოთ.

**სკობელევი.** გორჩაკოვო-ფედჩენკოს შუა ვაგონიდან 80 ათასის მანეთის დაკარგვა მოგონილი ამბავი აღმოჩნდა. მგზავრი დააპატიმრეს.

**პეტერბურგი.** მართლმადიდებელთა სარწმუნოების საქმეთა კომისიამ მიიწონა კანონპროექტი ხაზინიდან 500 ათას მანეთის გადებისა, სოფლისა და ქალაქის სამღვდელოების ჯამაგირის მოსამატებლად.

**გომელი.** სადგურ სოლტანოვკასა და ბუდა-კოშელევსკის შუა სამგზავრო მატარებელი საბარგოს უკან ვაგონებს დაეჯახა. რამდენიმე საბარგო ვაგონი დაიმსხვრა. ბევრი მგზავრი მძიმედ დაშავდა. მატარებლების მიმოსვლა 7 საათის განმავლობაში შეწყვეტილი იყო.

# შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მოგვცეთ მადლობა მოვახსენოთ შემდეგ პირთ, რომელთაც „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ შემოსწირეს:

1) თავ. ვარლამ გელოვანმა—მედალი, ეკატერინე მე-2-ის დროს ჩამოსხმული, საქართველოსთან 1783 წლის ხელშეკრულობის აღსანიშნავად;

2) რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძემ — ხელნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-17 საუკუნისა;

3) გაბრიელ ბეჟანის ძის საყვარელიძის მემკვიდრეებმა — ვახტანგის მიერ შეკრებილი „სამართლის წიგნი“ და 60 ძველი ფული (31 ვერცხლისა, 29 სპილენძისა);

4) ნიკოლოზ ივ. ახმეტელაშვილმა—სოფ. ქერემში ნაპოვნი ერთი არაბული ფული;

და 5) კონსტანტინე ქუთათელაძემ—ფრანგული წიგნი „Petite Larousse illustré“.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭო.

# მედიატორთა დადგენილება

## თავ. გ. ი. ამირაჯიბისა და სვ. ყიფიანის შესახებ.

1911 წლის 28 მაისს ქართულ ალმანახის „შუქის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი სათაურით: „დღევანდელ საქართველოს ბურჯნი“. წერილი სხვათა შორის, ეხებოდა თავ. გ. ი. ამირაჯიბის პიროვნებას, რომელმაც წერილში წამოყენებულ ბრალდებით თავი შეურაცხყოფილად იცნო და სვ. ყიფიანი, რომელმაც ექიმ კლიმიაშვილთან ერთად პასუხის მგებლობა იკისრა ამ წერილისთვის, სამედიატორო სასამართლოში გაიწვია. თავ. ამირაჯიბმა თავის მხრივ მედიატორებად დაასახელა თავ. ი. ა. ბარათაშვილი და თავ. ნ. გ. ლორთქიფანიძე, ხოლო სვ. ყიფიანმა—ვ. ა. დემიდოვი და გ. ს. რცხილაძე. სასამართლოს თავჯდომარედ ა. ბ. მდივანი აირჩიეს.

პირველი სხდომა 1911 წლის 18 ივნისს მოხდა. დადგენილ იქნა საქმის გარჩევის გადადება სექტემბრისთვის თანახმად სვ. ყიფიანის სურვილისა, რადგან უკანასკნელმა განაცხადა, საბუთების წარმოდგენა სექტემბერში შემიძლიანო.

სექტემბერში მეორე სხდომა მოხდა. თავ. ამირაჯიბმა ბრალდებანი, წამოყენებულნი წერილში, სამ მუხლად აღნიშნა: 1) წერილის ავტორმა თავ. ამირაჯიბი პროვოკატორისა და ჯაშუშის სახელით მონათლა, 2) წერილის ავტორმა მიაწერა თავ. ამირაჯიბს სხვის მილების გაყიდვა და აღებულ ფულის—700 მან.—მითვისება, ესე იგი ქურდობა დასწამა და 3) წერილის ავტორმა მრავალი შეურაცხმყოფელი სიტყვები იხმარა თავ. ამირაჯიბის მიმართ და უკანასკნელს მრავალ უზნეო საქციელის ჩადენას აბრალებდა.

ბრალდების პირველ მუხლის დასამტკიცებლად სვ. ყიფიანი დაეყრდნო 1905 წლის 6 მაისს „ივერიის“ რედაქტორისა და თავ. ამირაჯიბის შორის მომხდარ სამედიატორო სასამართლოს დადგენილებას. ბრალდების მეორე მუხლის დასამტკიცებლად ბ-ნს ყიფიანს სასამართლოსთვის წერილობითი საბუთები არ წარუდგენია, მხოლოდ სასამართლოს სთხოვა, ჩვენება ჩამოართვით ბაქოში მცხოვრებ ექვს მოწმესო.

— მესამე მუხლში აღნიშნული ბრალდება სვ. ყიფიანმა უკან წაიღო.

ბ-ნ ყიფიანის თხოვნა მოწმეთა გამოკითხვის შესახებ სამედიატორო სასამართლომ შეიწყნარა; შეიწყნარა აგრეთვე თავ. ამირაჯიბის თხოვნა, რათა მის მოწმეებისთვისაც ჩამოერთვათ ჩვენება.

მოწმების გამოსაკითხავად ბაქოში გაგზავნილ იქნენ სასამართლოს ორი წევრი თავ. ნ. გ. ლორთქიფანიძე და გ. ს. რცხილაძე, რომელთაც სვ. ყიფიანისა და თავ. ამირაჯიბის მოწმეებს წერილობითი ჩვენება ჩამოართვეს.

სამედიატორო სასამართლოს მესამე და უკანასკნელი სხდომა 1911 წლის 12 ოქტომბერს მოხდა.

სასამართლომ ეს საქმე საბოლოოდ განიხილა ბ-ნ ყიფიანის დაუსწრებლად და თანახმად უკანასკნელის თანხმობისა და შეგროვილ მასალების მიხედვით ერთხმად შემდეგი დაადგინა:

პირველ მუხლის გამო:

1905 წელს 6 მაისს მომხდარ სამედიატორო სასამართლოს დადგენილების შემდეგ ბ-ნს ყიფიანს უფლება აღარ ჰქონდა თავ. ამირაჯიბისთვის ბრალად დაედო ჯაშუშობა და პროვოკატორობა და სიტყვების წარმოთქმა სიის შედგენა იმ პირებისა, ვინც გლეხობას აჯანყებს), რომელნიც თავ. ამირაჯიბს არ წარმოთქვამს, რაიც კარგად იცოდა თვით სვ. ყიფიანმაცა.

და მეორე მუხლის გამო:

ბ-ნს ყიფიანს არავითარი საბუთი არა ჰქონდა, რომ თავ. ამირაჯიბისთვის ქურდობა დაებრალებინა.

მესამე მუხლის ბრალდება ს. ყიფიანმა თვითვე უკან წაიღო.

ეს დადგენილება გაზეთებში უნდა გამოცხადდეს.

თავმჯდომარე ა. მდივანი, სასამართლოს წევრნი: თავ. ნ. გ. ლორთქიფანიძე, ვ. ა. დემიდოვი. თავ. ი. ა. ბარათაშვილი, გ. ს. რცხილაძე.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბატონ კაპიტანს დავით ადამის ძეს ართმელაძეს, რომელმაც ქვიანის უფასო სამკითხველოს გამოუგზავნა სარაყამიშიდან 10 მანეთი.

ბიბლ.-სამკითხველოს გამგე მღ. თეოფანე კალანდარიშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

### ტფილისიდან გადის:

**ბათუმისაკენ**: 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის საღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვოში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5. II—III კლას. გადის საღ. 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვოში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვოში 12 ს. 58 წ., რიონში საღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსაკენ**: 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 0 წ., ბალაჯარამი საღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში საღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარამი დილ. 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარამი ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) შერეული მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარამი დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისაკენ**: 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის საღ. 8 ს. 4 წ.

### ჯულფასა და ერევნისაკენ:

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. საღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს საღამოს 10 ს. 12 წ.

2) სახალხო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. წ.

### ტფილისში მოდის:

**ბათუმიდან**: სახალხო № 6, I—III კლას ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო № 8,—ნაშუადღ. 4 ს. 35 წ.

**ბაქოდან**: სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1—საღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან**: საფ. N 72—73,- დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან**: საბარგო და სახალხო № 80 81—შუადღის 12 ს. 42 წ.

**შენიშვნები**: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან**: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან**: სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

# განცხადებანი


მარმარილოს სახელოსნო
გ. ზ. კანდელაკისა
სკულპტურა, არქიტექტურა და მოზაიკა.
რიყის ქუჩა, N 13. (25.1572.1)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N სახლი ჯაჯანაშვილისა. (ე)

მუხრანის ქუჩა
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.
გ. მ. გოგიბერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.
მ. კ. იახელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევ რიდან 11 ს.
მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.
ლ. გ. საყვარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.
იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.
გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.
გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ.—1 ნახ. ს.-დე.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.
კბილის ექიმი—კბილისა, 8—10 ს.-დე.
მ. გ. მიკირტუმოვი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
№ 646. 100—50 (0—1008—166

დოქტ. ნავასარდიანისა
უოველ დღე, კვირების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღდისი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. შუშანოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
ქალ. ექიმ. ბ. ს. შილბერმანი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.
გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და სიბავშვო.
ბ. გ. ბგახარიოვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. შილბერმანი: 6—6 ნახ.- ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.
11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.
რჩევა 50 კ. დარიგებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—172)




გამოცდილი მასწავლებელი
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ-კლასიან სასწავლებლის ხარისხზე. ყველა კლასის ჩასაბარებლად. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памяти. Воронцову), спросить учителя. (თ. 1084.11)

ქ. თელავში
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
წიგნი
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.
ახალი მეთოდი.
აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.
(100—1140—82)

ღვინით მოვაჭრე
ამხ. „კომეტა“
ლორის-მელიქოვის ქ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ს. ზუბალაშვილისა, № 6.
მიიღეთ კახეთის საუკეთესო ზვრების ღვინო, ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია. (20 1560 3)



საათების საწყობი
იულიუს გენე
Юлiусъ Гене
სასახლის ქ. თავად-აზნაურთა სახლი.
აურიცხველი რიცხვი საათებისა ოქროსი, ვერცხლისა და ფოლადისა, საათები შვეიცარიის ქარხნებისა: ზენიტი, ლონჟინი, ომეგა, ბოურე შვილი და ამხ. და სხვანი.
მუდმივ მოგვეპოვება აურიცხელი კედლისა და დასადგმელი საათები, ბუდილნიკები, ძეწკვები ოქროსი, ვერცხლისა, ფოლადისა და ოქრო-გადაკრული.
საათების შესაკეთებლად საკუთარი სახელოსნო გვაქვს.
ფასები ზომიერზე ზომიერია.
(12—1550—4)

ახენტი
მ. ა. ბაქრაძია
ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტებად ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანონსისა“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.
მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი“, კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.
მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

გამოვიდა და იყიდება
თხზულებანი:
| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა“ | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი“ | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან“, 1901—1902 წ. | ფ. 85 კ. |
| B a t o n-ისა: | „ერი და კაცობრიობა“ | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

საბანკო სახლი ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.
კავკასიის სააგენტო
ტფილისი, მიხეილის ქუჩა № 65, ტელეფონი № 1177.
ჰყიდის მომგებიან ბილეთებს
სახელმწიფო სესხ. ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.
აზღვევს მომგებიან ბილეთებს ტირაჟში გამოსვლისაგან იაფად.
პროსპექტები პირველ მოთხოვნილებასთანავე უფასოდ. (15.1555.5)

მიიღება ხელის მოწერა
ტოლსტოის სახელობის მუზეუმის
საზოგადოების ცნობებზე
წელიწადში 10-ჯერ გამოვა.
რედაქციის მისამართი და კანტორა:
С.-Петербургъ, Толстовскiй Музей, Вас. остр., 1 линiя д. N 24, квар. 8.
ხელის მოწერის ფასი: რუსეთში გაგზავნით ერთის წლით 4 მან., ნახევარის წლით 2 მ., საზღვარ-გარედ 1 წ. 5 მ., ნახევარის წლით 2 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი 50 კ., ადრესის გამოცვლა 20 კ.
ოფიციალურ საბუთების გარდა, რომელიც საზოგადოების საზოგადო კრებისა, კომისიისა და საზოგადოების საბჭოს შეეხება და მუზეუმის საქმეებს გააცნობს, ჟურნალში შეძლებისამებრ მოთავსდება ნ. ლ. ტოლსტოის დღევანდლამდე დაუბეჭდავი ნაწარმოებნი, წერილები, მოგონებანი, დღიურები და სხვა, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ლ. ნ. ტოლსტოის პიროვნებასთანა და მოღვაწეობასთან. ამას გარდა „ცნობებში“ მოთავსდება რაც შეიძლება სწორედ დაწვრილებითი რუსეთისა და უცხოეთის ბიბლიოგრაფია ლ. ტ. წიგნების შესახებ. „ცნობათა“ ყოველ ნომერს რამდენიმე სურათი ექნება ჩართული.
ამ დღეებში გამოვიდა „ცნობათა“ 1 №-რი (ივლისი).
შ ი ნ ა ა რ ს ი: რედაქციისაგან, წერილები ლ. ნ. ტოლსტოისა გ. გ. ალექსინთან. მათ შესახებ ვლად. ბონჩ-ბრუევიჩის წინასიტყვაობა და შენიშვნები. ტოლსტოის მუზეუმი (ტოლსტ. სამუზ. მოსკოვის განყოფილებ. საზოგად. პირველ საზოგადო კრებაზე წაკითხული მოხსენება). პ. ი. ბირიუკოვი,—ოთხი ფოტოგრაფ. სურათი მუზეუმის ორის დარბაზისა. სურათების გამოფ. ვლ. მიხ. ვორონცოვის ზოვნას,—მის. სტახოვიჩისა. ქრონიკა. იასნაია პოლიანაში წამსვლელთათვის ტოლსტ. მუზ. მოსკოვის განყოფილ. ცნობანი; ვლადიმერ და ოლეგ ვოინოვების მიერ ტოლსტოის მუზეუმში შეწირულ ნივთთა და წიგნთა სია. ბიბლიოგრაფია. რედაქციაში მიღებული წიგნები. ტოლსტოის სამუზეუმო საზოგ. წესდება. ტოლსტ. სამუზ. საზოგადოების საზოგადო კრების ოქმი 1911 წ. 27 მარტისა. ტოლსტ. სამუზ. საზოგადოებ. 1910—11 წლის მოღვაწეობის ანგარიში 1911 წ. 1 მაისის საზოგადო წლიურ კრებისათვის. ხაზინადრის ანგარიში 1910—11 წლისა. ტოლსტოის სამუზეუმო საზოგად. ხარჯთ-აღრიცხვა 1911—12 წლისა. სარევიზიო კომისიის მოხსენება. სარევიზიო კომისიის ანგარიში. 1911 წ. 1 მაისს მუზეუმისათვის შეძენილ ნივთთა სია. მუზეუმის გახსნისას შემოწირულებათა სია. საზოგადოების წევრთა სია.
ხელის მოწერა მიიღება: Контора „Извѣстiй“ „Общества Толстовскаго Музея“. Петерб., Толстовскiй Музей, Вас. остр, 1 линiя, N 24. Кв. 8, და ყველა წიგნ. მაღაზიაში.
გამომც. „ტოლსტ. სამუზ საზოგადოება“, რედაქ. ვლად. ბონჩ-ბრუევიჩი.
(5—1525—4)

მიიღება ხელის მოწერა
ლ. ნ. ტოლსტოის
დაუბეჭდავ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთა კრებულზე
ალექსანდრა ლევის ასულის გამოცემა.
ლევ ნიკოლოზის ძის ტოლსტოის სურვილისამებრ მისი ასული ალექსანდრა შეუდგა მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ჯერ დაუბეჭდავ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთა გამოცემას.
ამ გამოცემათა წმინდა მოგებას ლევ ნიკოლოზის ძის ანდერძისამებრ მოიხმარებენ.
ამ გამოცემაში მოიპოვება შემდეგი მოთხრობანი, დრამები და დაუმთავრებელი თხზულებანი: ჰაჯი-მურატი, მამა სერგი, ეშმაკი, ყალბი კუპონი, ბალის შემდეგ, რა დამესიზმრა?—ალიოშა გარშოკი, ცოცხალი გვამი ხოდინკა, იმისი ხასიათები გამოჩნდა, შეშლილის წერილები, ქვეყნად დამნაშავე არავინაა, ვინ არის მკვლელი?, თევდორე კუზმიჩის ნაწერები, დედის ისტორიის შესავალი, ბავშვის სიბრძნე, მამა ვასილი და სხვა ნაწარმოებნი.
ეს გამოცემა ხელის მოწერით გამოვა და განსაზღვრული ცალი დაიბეჭდება, სამ მშვენიერ დიდ ზომის წიგნად, კარგ ქაღალდზე, ლ. ნ. ტოლსტოის სურათითა და ავტობიოგრაფიით. პირველი წიგნი 1911 წ. 7 ნოემბერს გამოვა, მეორე—1911 წ. 2 დეკემბერს, მესამე—1912 წ. 5 იანვარს. სამივე წიგნი ღირს 6 მანეთად; გაგზავნით 6 მ. 50 კ.
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერისას 3 მან. 1 წიგნის მიღებისას—3 მან. ხელის მოწერა მიიღება: Москва, Кузнецкiй мостъ, д. кн. Гагарина, квар. 5, контора изданiя А. Л. Толстой и вовсѣхъ главныхъ книж. магазинахъ.
(5—1525—4)